

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

თამთა ჭიჭინაძე  
ქეთევან კვიციანი

საინფორმაციო, შემეცნებითი ვებ-საიტის ცნობადობისა და  
რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორები

სამაგისტრო პროგრამა-სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციოლოგიის სამაგისტრო  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

ნინო დურგლიშვილი

თბილისი 2018

## ანოტაცია

### საინფორმაციო, შემეცნებითი ვებ-საიტის ცნობადობისა და რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორები

სამაგისტრო ნაშრომის საკვლევ თემას წარმოადგენს საინფორმაციო, შემეცნებითი ვებ-საიტის ცნობადობისა და რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევა. საქართველოში ბევრ აქტუალურ საკითხთან ერთად, ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და სერიოზული განსჯის საგანი არის განათლების პრობლემა და მასთან დაკავშირებული საკითხები. დღეს უფრო და უფრო ვითარდება ინფორმაციული ტექნოლოგიები. ბოლო წლების განმავლობაში გატარდა რეფორმები, რომლებსაც წესით ძირეულად უნდა შეეცვალა საქართველოში არსებული დრომოჭმული საგანმანათლებლო სისტემა და დაენერგა ევროპული სტანდარტები. ფაქტია, რომ ამ ყველაფერს რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია და საქართველო მსოფლიო ქვეყნების რეიტინგში განათლების დონით, ისევ რიგით ბოლო პოზიციებს იკავებს. ტექნოლოგიები ნაკლებად გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებით და შესაძლებელია უფრო მეტად იყოს მორგებული მოსწავლეებზე.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საინფორმაციო, შემეცნებითი ვებ-საიტის ცნობადობისა და რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევა.

კვლევისთვის შეირჩა სამი საჯარო სკოლა. შერჩევის კრიტერიუმები: სკოლის მოცულობა (მცირე, საშუალო, დიდი) და სკოლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: ორი სკოლა საჯაროა, 1 კერძო. რესპონდენტთა რაოდენობა: 50 მოსწავლე. სტატისტიკური ანალიზის პროცესში მოხდა მონაცემთა შეწონვა შერჩეულ სკოლებში მოსწავლეების პროპორციების შესაბამისად.

თვისებრივი კვლევის რესპონდენტებად შეირჩა ვებ-საიტების ადმინისტრატორები, ტექნოლოგიური სფეროს სპეციალისტები, და კონკრეტური საგანმანათლებლო საიტის ავტორი.

რაოდენობრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მოსწავლეები ინტერნეტს მთელი დღის მანძილზე აქტიურად იყენებენ, თუმცა უმეტესად ისინი სარგებლობენ სხვადასხვა სოციალური ქსელით, აქვთ კონტაქტი მეგობრებთან, ეცნობიან ახალ ინფორმაციებს. ამასთან, შედარებით ნაკლებია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებიც ინტერნეტს საგანმანათლებლო მიზნებისთვის იყენებენ.

თვისებრივი კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ მიუხედავად საინფორმაციო-შემეცნებითი საიტის შემქმნელების ძალისხმევისა, იგი სათანადოდ პოპულარული მაინც არ არის, თუმცა მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი მას ხშირად მოიხმარს, აგრეთვე აქტიურად არიან ჩართული საიტის facebook ჯგუფში ჩართულ დისკუსიებსა და ატივობებში. რაც შეეხება სპეციალისტებს, მათი განმარტებით საიტი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნილებებს და მისი დიზაინი და სტრუქტურა მოძველებულია.

აღნიშნული ჯგუფური პროექტის ფარგლებში კვლევის მონაწილეთა წვლილი თანაბარია, როგორც თვისებრივი, ასევე რაოდენობრივი კომპონენტის შესწავლისა და კვლევის შემთხვევაში.

## Abstract

Informative, cognitive Web-Site awareness and Rating Determining factors

T. Chichinadze

K. Kvirkelia

Research topic of Master's Thesis is a study of information and cognitive web-site recognition and rating factors. Along with many important issues, one of the most distinctive and serious issues is education problem and related issues in Georgia. Today, more and more information technology develops. In recent years reforms have been implemented, which should have to change the existing educational system in Georgia and adopt European standards. The fact is that all of this has not resulted in substantial results and Georgia occupies the last position in the rank in the level of education of the world. Technologies are less commonly used for educational purposes and are more likely to be tailored to pupils.

The present paper aims to make research Informative, cognitive Web-Site awareness and Rating Determining factors.

Three public schools were selected for research. Selection criteria: School volume (small, medium, large) and school organizational-legal form: two schools are public, 1 private. Number of respondents: 50 pupils.

Administrators of information-cognitive web sites, IT specialists, representatives of relevant fields of education, lecturers of university and directly by the site author have been selected as respondents of qualitative research.

The results of quantitative research have shown that students actively use the Internet for the whole day, but most of them enjoy different social networks, have contact with friends, get acquainted with new information. In addition, the number of students is relatively less who use the Internet for educational purposes.

The results of the qualitative research have shown that despite the efforts of the creators of the information-cognitive site, it is not quite popular, but some of the students use it frequently and they are also actively involved in discussions and actively involved in Facebook groups. As for the specialists, they explain that the site cannot meet the modern needs and its design and structure is out of date.

The participants' contribution to this group project is equally in the case of study and research of qualitative and quantitative components.

# სარჩევი

შესავალი.....	8
I. ლიტერატურის ანალიზი.....	11
II. კვლევის მიზანი და ამოცანები.....	54
III. კვლევის მეთოდოლოგია.....	55
მეთოდი.....	55
კვლევის მონაწილეები .....	55
კვლევის შერჩევა .....	55
კვლევის მონაწილეთა შრეხვისა და რეკრუტირების კრიტერიუმები.....	55
კვლევის არეალი .....	56
კვლევის მონაწილეთა რაოდენობა .....	56
კვლევის შეზღუდვები .....	56
IV. კვლევის ძირითადი შედეგები .....	57
4.1 სხვადასხვა სახის ვებ-საიტების რანჟირება ცნობადობისა და გამოყენების სიხშირის მიხედვით.....	57
4.1.1 ინტერნეტის გამოყენების სიხშირე.....	57
4.1.2 ინტერნეტით განხორციელებული აქტივობები.....	59
4.1.3 ინტერნეტ პრაქტიკა.....	61
4.1.4 ინტერნეტის დადებითი და უარყოფითი მხარეები.....	64
4.2 მომხმარებლის მხრიდან საინფორმაციო-შემეცნებითი ვებ-საიტების მიმართ დამოკიდებულების კვლევა.....	64
4.2.1 ვებ საიტის ცნობადობის დონე.....	64
4.2.2 ვებ საიტის გამოყენების სიხშირე.....	65
4.2.3 ვებ საიტის დადებითი მახასიათებლები.....	66
4.3 საინფორმაციო-შემეცნებითი ვებ-საიტის ტექნიკური გამართულობისა და მარკეტინგული სტრატეგიების ფაქტორების როლის კვლევა. ....	67

დასკვნა.....	78
გამოყენებული ლიტერატურა .....	80
დანართი #1.....	82

## შესავალი

ინფორმაციული საზოგადოება-ეს არის სოციალური სისტემა, რომელშიც საქონლისა და მოხმარების წარმოება არსებითად დამოკიდებულია ინფორმაციის შეგროვებაზე, დამუშავებასა და გადაცემაზე. ინფორმაციული ტექნოლოგიების ერის ჩამოყალიბებამ უზრუნველყო ინფორმაციის უზარმაზარი რაოდენობის წარმოების, დამუშავებისა და გადაცემის შესაძლებლობა. თანამედროვე წამყვანი სოციოლოგები(ბელი,ტოფლერი, კასტელსი და სხვ) მიუთითებენ, რომ პოსტინდუსტრიული საზოგადოება, თავისი არსით, კომუნიკაციური თუ ინფორმაციული საზოგადოებაა. თუ ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი რესურსი კაპიტალი იყო, პოსტინდუსტრიული საზოგადოების რესურსებია ინფორმაცია და თეორიული ცოდნა. მეცნიერება კი გადაიქცა ძირითად საწარმოო ძალად. (სამოქალაქო განათლების ლექსიკონი, 2004)

ინფორმაციული ტექნოლოგია-არის ტექნოლოგია, რომელიც საჭიროა ინფორმაციის დამუშავებისათვის. კერძოდ, ის იყენებს კომპიუტერულ ტექნიკას, კომპიუტერულ პროგრამებს ინფორმაციის დაგროვების, შენახვის, გარდაქმნისა და გადაცემისათვის. (ვიკიპედია,2015).

თანამედროვე საზოგადოება წარმოუდგენელია განათლების გარეშე. განათლება ესაა პროცესი, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისკენ. განათლებაში აგრეთვე იგულისხმება შედეგი - ცოდნის სახით. განათლების მიღების ძირითადი გზაა სწავლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც მჭიდრო კავშიშია აღზრდასთან. განათლების საერთო და სპეციალური დონე განპირობებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის წარმოების მოთხოვნებით.

სკოლა წარმოადგენს სწავლისა და სწავლებისათვის განკუთვნილ გარემოს. ეს ყოველთვის ასე იყო და იქნება. სასკოლო განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდის განვითარებაში. სკოლაში ბავშვი პიროვნებად ყალიბდება.



თანამედროვე ქართული დამხმარე საგანმანათლებლო ელექტრონული რესურსი მეტისმეტად განუვითარებელია და ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომელთაც მათ უყენებს ე.წ. technology-friendly სკოლის მაღალი კლასების მოსწავლე, რომელსაც, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ელექტრონულ საძიებო სისტემებთან, ბაზებთან და სხვა ტიპის რესურსებთან მუშაობის 10–12–წლიანი გამოცდილება აქვს. ციფრული ტექნოლოგიების სწორად და საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება დადებითი შედეგების მომტანი იქნება. განათლების სისტემაზე ორიენტირებული ვებ-გვერდები იძლევა საშუალებას თანამედროვე მოსწავლემ მოკლე დროში მოიპოვოს მისთვის სასურველი ინფორმაცია. ერთ-ერთი ასეთი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტი „ეროვნული ბიბლიოთეკა სკოლას“. მსურველს შესაძლებლობა აქვს სასურველი წიგნი ავტორისა და სათაურის მიხედვით მოძებნოს და მათ შემოქმედებას ელექტრონულად გაეცნოს. წიგნებს ასევე თან ახლავს აუდიო ვარიანტი. საიტი აერთიანებს აგრეთვე სასკოლო და პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ ნაწარმოებებს, ლესიკონებს და საძიებო სისტემებს.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საინფორმაციო, შემეცნებითი ვებ-საიტის ცნობადობისა და რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევა. ხოლო დასმული ამოცანები:

- სხვადასხვა სახის ვებ-საიტების რანჟირება ცნობადობისა და გამოყენების სიხშირის მიხედვით.
- მომხმარებლის მხრიდან საინფორმაციო-შემეცნებითი ვებ-საიტების მიმართ დამოკიდებულების კვლევა.
- საინფორმაციო-შემეცნებითი ვებ-საიტის ტექნიკური გამართულობისა და მარკეტინგული სტრატეგიების ფაქტორების როლის კვლევა.

საინფორმაციო, შემეცნებითი ვებ-საიტის ცნობადობისა და რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევის მიზნით გამოყენებული იქნა თვისებრივი (საინფორმაციო-შემეცნებითი ვებ-საიტის მომხმარებელთა მიერ სოციალურ ქსელში გასაჯაროებული შეფასებებისა და რეკომენდაციების ანალიზი. სიღრმისეული

ინტერვიუები) და რაოდენობრივი(მეთოდი(პირისპირ ინტერვიუ სტრუქტურირებული კითხვარით) კვლევის მეთოდები.

კვლეის არეალი მოიცავს თბილისს. შეირჩა სამი საჯარო სკოლა. შერჩევის კრიტერიუმები: სკოლის მოცულობა (მცირე, საშუალო, დიდი) და სკოლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: ორი სკოლა საჯაროა, ერთი კერძო. რესპონდენტთა რაოდენობა: 50 მოსწავლე.

თვისებრივი კვლევის რესპონდენტებად შეირჩა ვებ-საიტების ადმინისტრატორები, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები, კონკრეტული შემეცნებითი საიტის ავტორი.

## I. ლიტერატურის ანალიზი

ჩვენს დროში ბევრი პრობლემაა აქტუალური, თუმცა მათგან ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული და სერიოზული განსჯის საგანი არის განათლების პრობლემა და მასთან დაკავშირებული საკითხები. განათლება ესაა პროცესი, რომელიც შეგნებულად არის მიმართული ადამიანის ფიზიკური, ინტელექტუალური და მორალური უნარ-ჩვევების განვითარებისკენ. განათლებაში აგრეთვე იგულისხმება შედეგი - ცოდნის სახით. განათლების მიღების ძირითადი გზაა სწავლა საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც მჭიდრო კავშიშია აღზრდასთან. განათლების საერთო და სპეციალური დონე განპირობებულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა, მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის წარმოების მოთხოვნებით.

თანამედროვე საზოგადოება წარმოუდგენელია განათლების გარეშე. დღეს უფრო და უფრო ვითარდება ინფორმაციული ტექნოლოგიები. ბოლო წლების განმავლობაში გატარდა რეფორმები, რომლებსაც წესით ძირეულად უნდა შეეცვალა საქართველოში არსებული დრომოჭმული საგანმანათლებლო სისტემა და დაენერგა ევროპული სტანდარტები. ფაქტია, რომ ამ ყველაფერს რაიმე არსებითი შედეგი არ მოჰყოლია და საქართველო მსოფლიო ქვეყნების რეიტინგში განათლების დონით, ისევ რიგით ბოლო პოზიციებს იკავებს.

სკოლა წარმოადგენს სწავლისა და სწავლებისათვის განკუთვნილ გარემოს. ეს ყოველთვის ასე იყო და იქნება. ბევრი ადამიანისთვის სკოლა აღარ წარმოადგენს ადგილს, სადაც მომავალი თაობა მხოლოდ ზრდასრული ცხოვრებისთვის ემზადება. სასკოლო განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინდივიდის განვითარებაში. სკოლაში ბავშვი პიროვნებად ყალიბდება.

ტექნოლოგიები ნაკლებად გამოიყენება საგანმანათლებლო მიზნებით და შესაძლებელია უფრო მეტად იყოს მორგებული მოსწავლეებზე. რეალურად ციფრული ტექნოლოგიების სწორად და საგანმანათლებლო მიზნებისთვის გამოყენება დადებითი შედეგების მომტანი იქნება. განათლების სისტემაზე

ორიენტირებული ვებ-გვერდები იძლევა საშუალებას თანამედროვე მოსწავლემ მოკლე დროში მოიპოვოს მისთვის სასურველი ინფორმაცია. ერთ-ერთი ასეთი წინგადადგმული ნაბიჯია საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის პროექტი „ეროვნული ბიბლიოთეკა სკოლას“ . მსურველს შესაძლებლობა აქვს სასურველი წიგნი ავტორისა და სათაურის მიხედვით მოძებნოს და მათ შემოქმედებას ელექტრონულად გაეცნოს. წიგნებს ასევე თან ახლავს აუდიო ვარიანტი. საიტი აერთიანებს აგრეთვე სასკოლო და პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ ნაწარმოებებს, ლექსკონებს და საძიებო სისტემებს.

სამწუხაროდ ვებ-გვერდი არ არის სათანადოდ პოპულარული და გამოყენებადი, ამას სხვადასხვა მიზეზები შეიძლება გააჩნდეს, არ ხდება სათანადოდ დაინტერესება მოსწავლეების და სკოლების, ამის გაქტორები შეიძლება ვეძებოთ თავად ვებ-გვერდში, მის დიზაინში, როგორც დარგის სპეციალისტები განმარტავენ, საიტი არ არის საკმარისად თანამედროვე, მას სჭირდება დახვეწა, რათა მოსწავლეებისათვის უფრო მიმზიდელი გახდეს. ნაკლები გამოყენების მიზეზები შეიძლება ვეძებოთ შეთავაზებულ მასალაში, აგრეთვე იმაშიც რომ მოსწავლეებს არ აქვთ სურვილი გამოიყენონ ინფორმაციის დამატებითი წყაროები და გაიღრმავონ ცოდნა. საიტით დაინტერესება დადებითად აისახება განათლების სისტემაზე და მოსწავლეები სწრაფად შეძლებენ ცოდნა გაიღრმავონ, მოიძიონ მათთვის საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაციები.

უძველესი პერიოდიდან დღემდე კაცობრიობამ განვითარების რამდენიმე მნიშვნელოვანი საფეხური გაიარა: გვაროვნული წყობილება, აგრარული პერიოდი, ინდუსტრიული საზოგადოება. XXI საუკუნის ადამიანი კი ცხოვრობს სრულიად ახალ ვითარებაში, რომელსაც საინფორმაციო საზოგადოება ჰქვია, მან შეცვალა ინდუსტრიული საზოგადოება. ტერმინი „საინფორმაციო საზოგადოება“ (Information society) ეკუთვნის ტოკიოს ტექნოლოგიური ინსტიტუტის პროფესორს ი.ჰაიაშის. შემდგომ ტერმინი გავრცელდა და მისი გამოყენება დაიწყო არა მარტო

სპეციალისტებმა, არამედ მას საჯარო გამოსვლაში ხშირად ხმარობენ პოლიტიკოსები, ეკონომისტები და სხვა დარგის სპეციალისტებიც.<sup>1</sup>

საინფორმაციო საზოგადოების დამახასიათებელი თვისებებია:

1. ინფორმაციის, ცოდნის და საინფორმაციო ტექნოლოგიების როლის ზრდა საზოგადოებრივ საქმიანობაში.
2. იმ ადამიანთა რაოდენობის ზრდა, რომლებიც თავიანთ საქმიანობაში იყენებენ საინფორმაციო ტექნოლოგიებს.
3. საინფორმაციო პროდუქტის წარმოების ზრდა და სხვადასხვა სფეროს სერვისის გაუმჯობესება.
4. გლობალური საინფორმაციო სივრცის შექმნა.

ელექტრონული დემოკრატიის, ელექტრონული სახელმწიფოს, ელექტრონული მთავრობის, ინფორმაციული ეკონომიკის განვითარება, ციფრული ბაზრის შექმნა, ელექტრონული, სოციალური და საყოფაცხოვრებო ქსელების გაფართოება<sup>2</sup>.

საინფორმაციო საზოგადოებაში იცვლება არა მარტო წარმოების ფორმები, არამედ ცხოვრების წესი, ღირებულებათა სისტემა. კულტურულ ცხოვრებას გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება, ვიდრე მატერიალურ ღირებულებებს. ინდუსტრიული საზოგადოებისაგან განსხვავებით, სადაც ყველაფერი მიმართული იყო წარმოებასა და საქონლის მოხმარებაზე, საინფორმაციო საზოგადოებაში მთავარი ცოდნის წარმოებაა, რაც იწვევს გონებრივი შრომის გაზრდას. ასეთი საზოგადოება ადამიანისგან მოითხოვს კრეატიულობას, შემოქმედებითი უნარის გამოვლენას, იზრდება ინტერესი ცოდნისა და ინფორმაციისადმი. „ვინც ფლბს ინფორმაციას, ის ფლობს მსოფლიოს“-ეს სიტყვები თანამედროვედ ჟღერს, თუმცა მისი ავტორი

1

<https://programminggeorgia.wordpress.com/2014/08/02/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91/>

2

<https://programminggeorgia.wordpress.com/2014/08/02/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91/>

გახლავთ მაიერ როდშილდი, რომელიც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მე-18-19 საუკუნეებში. კომპიუტერული სისტემები და კომპიუტერული ქსელები, ტელესაკომუნიკაციო კავშირები და საინფორმაციო ტექნოლოგიები წარმოადგენს საინფორმაციო საზოგადოების მატერიალურ და ტექნოლოგიურ ბაზას. იუნესკოს განმარტებით, საინფორმაციო ტექნოლოგიები ((Information Technologies – IT)- ეს არის ერთმანეთთან დაკავშირებული სამეცნიერო, ტექნოლოგიური და საინჟინრო დისციპლინის კომპლექსი, რომელიც შეისწავლის იმ ადამიანთა შრომის ეფექტურ ორგანიზაციას, რომლებიც დასაქმებულები არიან .<sup>3</sup>

საინფორმაციო საზოგადოების ძირითადი ნიშნებია:

1. ინფორმაციის პრიორიტეტი სხვა სახის პრუდუქტებთან შედარებით.
2. ინფორმაცია წარმოადგენს უმთავრესს ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროსთვის( ეკონომიკა, პოლიტიკა, განათლება, კულტურა და ა.შ).
3. ინფორმაცია არის თანამედროვე ადამიანის საქმიანობის პროდუქტი.
4. ინფორმაცია არის ყიდვა-გაყიდვის საგანი.
5. ინფორმაციის წვდომა ყველასთვის თანაბარია.
6. ინფორმაციის, საინფორმაციო საზოგადოების უსაფრთხოება.
7. ინტელექტუალური საკუთრების დაცვა.
8. საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით სახელმწიფოსა და სახელმწიფოების სხვადასხვა სტრუქტურებს შორის კავშირი.

საინფორმაციო საზოგადოების მართვა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ .<sup>4</sup>

---

3

<https://programminggeorgia.wordpress.com/2014/08/02/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91/>

4

<https://programminggeorgia.wordpress.com/2014/08/02/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91/>

საქართველოში ინფორმატიზაციის პროცესი ნელა, თუმცა მაინც მიმდინარეობს. საზოგადოების ინფორმატიზაცია რთული სოციალური პროცესია. ინფორმატიზაციის ერთიანი რეცეპტი არ არსებობს. მისი განხორციელება ქვეყანაში არსებულ მთელ რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული: ენერგეტიკული ბაზა, საზოგადოებრივი სტრუქტურა და ა.შ.

ინფორმაცია შეიძლება დავყოთ შემდეგ კრიტერიუმებად:

1. ინფორმაციას აღვიქვამთ: მხედველობით, სმენით, ყნოსვით, გემოთი.
2. ინფორმაცია გადმოიცემა სიმბოლოებით, გრაფიკული და ციფრული ფორმით.
3. ინფორმაცია დანიშნულების მიხედვით არის მასობრივი, სპეციალური და პირადი.<sup>5</sup>

ინფორმაციული-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ისტ) გარეშე დღეს წარმოდგენელია პროგრესი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში. მნიშვნელოვანია, ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების აქტიურმა გამოყენებამ სასწავლო პროცესში არა მხოლოდ ტექნიკური უნარები შესძინოს მოსწავლეს, არამედ შექმნას პირობები თავისუფალი პიროვნების ჩამოსაყალიბებლად.

სასწავლო პროცესში ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებას რამდენიმე მნიშვნელოვანი მხარე აქვს, კერძოდ:

- ხელს უწყობს შემოქმედობითობის და ინოვაციური მიდგომების განვითარებას.

---

5

<https://programminggeorgia.wordpress.com/2014/08/02/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91/>

- ისტ-ის გამოყენებით შესაძლებელია თვალსაჩინოებების შექმნა და გამოყენება, რომლებიც საჭიროა ახალი ცნების, ობიექტებისა და პროცედურების შემოტანისას.
- ისტ-ის გამოყენებამ შესაძლოა უფრო ეფექტიანად და ინტენსიურად შეუწყოს ხელი ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული უნარ-ჩვევების განვითარებას, მაგალითად: ვიზუალური თუ რაოდენობრივი კანონზომიერებების აღმოჩენის უნარი, ობიექტთა ზომების დადგენის და შეფასების უნარი, სივრცული წარმოდგენის უნარი და სხვ. (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2017).

დღეს ციფრული, ისევე როგორც რაოდენობრივი წიგნიერება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე წიგნიერება ტრადიციული გაგებით. ისტ-ის გამოყენებას ყურადღება უნდა მიექცეს ისეთი კომპეტენციების ჩამოყალიბებასა და განვითარებას, როგორებიცაა, კომპიუტერის გამოყენება, ინფორმაციის შენახვა და დამუშავება, ციფრული რესურსის პარამეტრების გააზრება და სხვ. ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება სწავლის პროცესში ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას. გარდა ამისა ამ გზით შესაძლებელია უფრო მრავალფეროვანი, მდიდარი და დინამიური სასწავლო მასალის შექმნა. შედეგად მოსწავლე აღარ იქნება ინფორმაციის პასიური მიმღები, არამედ მას თავად შეეძლება სასწავლო შინაარსის მოდიფიცირება და შექმნა (ეროვნული სასწავლო გეგმა, 2017).

ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწავლების ძირითადი მიზანია ინფორმირებული, ტექნოლოგიური მიღწევების ეფექტიანად გამოყენების უნარის მქონე, ეთიკური და კანონმორჩილი პიროვნების აღზრდა, რომელიც შეძლებს ინფორმაციის დამოუკიდებლად მოპოვებას, მართვას, დამუშავებას, შეფასებას და ანალიზს. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დასრულების შემდეგ მოსწავლეს უნდა ჰქონდეს საბაზისო ცოდნა ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შესახებ, ასევე მათი მოხმარების პრაქტიკული გამოცდილება, რაც საკმარისი იქნება შემდეგ საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად.



სკოლის დასრულების შემდეგ მოსწავლემ უნდა ფლობდეს ისტ-თან დაკავშირებული ცნებებსა და შესაბამის ოპერაციებს:

- მოსწავლეს უნდა შეეძლოს ისტ-ის ეფექტიანი გამოყენება მათ შორის საყოფაცხოვრებო და რეალური ვითარების დროს წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრისას.
- მოსწავლე უნდა ფლობდეს კვლევის ციფრულ საშუალებებს ( ინფორმაციის სხვადასხვა წყაროებიდან მოძიება, დამუშავება, ანალიზი).
- მოსწავლე უნდა ფლობდეს კომუნიკაციისა და თანამშრომლობის ციფრულ საშუალებებს.

თითქმის ათწლეულია, რაც მთელი მსოფლიო, განსაკუთრებით კი განვითარებული ქვეყნები, ცდილობენ ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვას სხვადასხვა, მათ შორის განათლების სფეროში. ტექნოლოგიათა განვითარებისა და დახვეწის ტემპი მოთხოვნის შესაბამისად გამუდმებით იზრდება, თავად მოთხოვნას კი განაპირობებს ის ფაქტი, რომ განვითარებული ქვეყნების საზოგადოებას უკვე კარგად აქვს გაცნობიერებული ინფორმაციული ტექნოლოგიების როლი და მათი განსაკუთრებული მნიშვნელობა დაჩქარებული კომუნიკაციის ეპოქაში, სადაც დროის ფასი ამ უკანასკნელის სვლასთან ერთად განუხრელად იზრდება. ევროპის, აშშ-სა და რამდენიმე სხვა სახელმწიფოს საგანმანათლებლო სისტემა აქტიურად ცდილობს ადრეული ასაკიდანვე ბავშვებისთვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ეფექტურად გამოყენების უნარების განვითარების ხელშეწყობას (ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ინსტიტუტი, 2017).

როგორც „European Commission Directorate General Information Society and Media“ ის მიერ გამოქვეყნებულ კვლევაში „Survey of Schools: ICT in education“ არის აღნიშნული, ევროკავშირის სკოლებში მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების მაჩვენებელი მაღალია, ხოლო მათი შეფასება - უჩვეულოდ პოზიტიური და იმედისმომცემი. კვლევის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო ე.წ. “teacher index”, რომელშიც მოცემულია მასწავლებლების მიერ

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ინტენსივობისა და ეფექტიანობის ამსახველი რამდენიმე გრაფიკი და დიაგრამა. კვლევის დასკვნაში აღნიშნულია, რომ წარმატებული და თავდაჯერებული მასწავლებლები კლასში მუშაობის დროს გაცილებით ინტენსიურად იყენებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, ძირითადად, კომპიუტერებს ინტერნეტით და პროექტორებს. ასევე დადგინდა, რომ როცა მასწავლებლების წვდომა სხვადასხვა სახის ინფორმაციულ ტექნოლოგიასთან გარკვეული მიზეზების გამო დაბალია, ეს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათი მუშაობის ნაყოფიერებაზე. სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად, ამ კვლევით ნათლად გამოჩნდა პირდაპირპროპორციული კავშირი მასწავლებლების წარმატებულ, ნაყოფიერ მუშაობასა და მათ მიერ ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ინტენსივობას შორის. (Survey of Schools: ICT in education, 2016)

გარდა ამისა, სკოლის მასწავლებლები მთელი ევროპის მასშტაბით უკვე თავიანთ პირად, არასამუშაო დროს აქტიურად უთმობენ ინფორმაციულ ტექნოლოგიებში თვითგანათლებას და მათი მოტივაცია ნათელია - მოემზადონ უკეთ 21-ე საუკუნის სასკოლო გარემოსთვის. პოლიტიკოსები გონიერებას გამოიჩინენ მაშინ, თუ გამოიყენებენ მასწავლებელთა ამ დიდებულ მოტივაციას და მოამარაგებენ მათ ინფორმაციული ტექნოლოგიის უახლესი, ინოვაციური საშუალებებით. (ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების ინსტიტუტი, 2017).

ინფორმაციული ტექნოლოგიების გამოყენების ინტენსივობა თუ თავად გამოყენებული ინფორმაციული ტექნოლოგიები საკმაოდ განსხვავდება ერთმანეთისგან. ევროპის სკოლებში ძირითადად იყენებენ: კომპიუტერებს, როგორც პერსონალურს ისე ლეპტოპებს. ასევე სხვადასხვა სახის გაჯეტებს. კომპიუტერებს მასწავლებლები იყენებენ იმისთვის, რომ ჯგუფს მისცენ დავალებები, არამარტო კლასში, არამედ - კლასს გარეთ მუშაობის დროსაც. მასწავლებლები კომპიუტერებს გამოიყენებენ ასევე ვიზუალური თუ აუდიო გამოსახულების გამოსაყენებლად, რაც ერთი-ორად აადვილებს ნებისმიერი საგნის სასწავლო მასალის ათვისებას მოსწავლეების მიერ. ზემოხსენებული გაჯეტები, ისევე როგორც კომპიუტერები, იძლევა იმის საშუალებას, რომ როგორც მასწავლებლებმა, ისე მოსწავლეებმა გამოიყენონ სპეციალურად შექმნილი პროგრამები თუ აპლიკაციები, მაგალითად,

როგორცაა, ყველასთვის ცნობილი Microsoft Word იმისთვის, რომ გააკეთონ ჩანაწერები. ასევე სპეციალისტების დახმარებით, ან იმ შემთხვევაში თუ კი მასწავლებლებ თავად კარგად ფლობენ მას, მათ შეუძლიათ ასწავლონ სტუდენტებს სხვადასხვა რთული კომპიუტერული პროგრამის გამოყენება, რაც გაცილებით აადვილებს სწავლის პროცესს, ასევე ეხმარება მოსწავლესა თუ მასწავლებელს მათთვის ერთ-ერთი ყველაზე ძვირფასი რესურსის-დროის დაზოგვასა და გონივრულ განაწილებაში. (ინფორმაციული ტენოლოგიების განვითარების ინსტიტუტი, 2017).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსგან გამოთხოვილი ოფიციალური მონაცემების მიხედვით, საქართველოს საჯარო სკოლებში არსებული ტექნიკური ბაზები არც თუ ისე მოუწესრიგებელია, სკოლათა უმრავლესობას აქვს პერსონალური კომპიუტერები, ლეპტოპები და პროექტორები, ხოლო სხვადასხვა ქალაქის სკოლებში მოწყობილია ე.წ „მომავლის კლასი“. (ინფორმაციული ტენოლოგიების განვითარების ინსტიტუტი, 2017).

როგორც უკვე აღინიშნა ინფორმაციულ ტექნოლოგიებს საკვანძო როლი აკისრია თანამედროვე მსოფლიოს წამყვან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის შესაბამისად წარმართვისთვის, თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში ამ კუთხით მდგომარეობა ჯერ კიდევ არცთუ სახარბიელოა. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გატარებული რეფორმები, ცხადია, ხელს უწყობს ამ მიმართულებით გარემოს გაჯანსაღებასა და განვითარებას, თუმცა რეალური შედეგების მისაღწევად აუცილებელია, საზოგადოების დიდმა ნაწილმა გააცნობიეროს ინფორმაციული ტექნოლოგიებით სარგებლობის დადებითი მხარეები და უკეთ გამოიყენოს უკვე არსებული რესურსები სასწავლო პროცესში.(ინფორმაციული ტენოლოგიების განვითარების ინსტიტუტი, 2017).

ჩვენ ვცხოვრობთ ინფორმაციულ ეპოქაში, ამიტომაც გვერდს ვერ ავუვლით ღია და დახურულ საზოგადოებაზე საუბარს. ღია საზოგადოების ცნებას ყველაზე აქტიურად იყენებს კარლ პოპერი, დახურული ანუ ტოტალიტარული საზოგადოების მეთოდოლოგიური საფუძლის, ისტორიციზმის წინააღმდეგ პაექრობისას.

ისტორიციზმი გვევლინება როგორც დახურული საზოგადოების დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი. დახურული საზოგადოება ორიენტირებულია ატორიტარულად დადგენილ უცვლელ ნორმათა საფუძველზე. ასეთ საზოგადოებას არ შესწევს ძალა მასების ორგანიზების საზოგადოებაში ისე, რომ ზედმეტად არ შეიზღუდოს პროვინების თავისუფლება საზოგადოების ძაუფლების ქვეშ. არ შეუძლია ხელი შეუწყოს სახელმწიფო ძალაუფლების გამაწონასწორებელი ინსტიტუტების და ასოციაციების შექმნასა და ფუნქციონირებას. დახურული საზოგადოება დამყარებულია ტაბუდადებულ რწმენაზე. ასეთი საზოგადოების მთავარი ნაკლია საზოგადოების ძალის გამოყენება იმ პირთა დასასჯელად რომლებიც ხრლისულებას აკრიტიკებენ. (ბერძენიშვილი, 2011)

ამის საპირისპიროდ ღია საზოგადოება კი დაფუძნებულია ადამიანის გონების მაღალ და მომწიფებულ კრიტიკულ პოტენციალზე, რომელიც სტიმულსა და გასაქანს აძლევს როგორც ინდივიდების ისე სოციალური ჯგუფების ინტელექტუალურ თავისუფლებასა და განსხვავებულად აზროვნებას, რომლების მიმართულია საზოგადოების უწყვეტ და თანდათანობით რეფორმირებაზე მისი პრობლემების გადაჭრის მიზნით. ღია და თავისუფალ საზოგადოებაში სიტყვის თავისუფლება უნდა იყოს შეცდომების გამომაშკარავების ეფექტური საშუალება და არა ფარი მათ დასაცავად. ღია საზოგადოება ეს არის ადამიანთა იმგვარი ერთობა რომელშიც ადამიანბმა ისწავლეს კრიტიკულად მიუდგნენ ტაბიურებულ უცვლელ ნორმებს და თავიანთი გადაწყვეტილებები ერთობლივი განხილვისა და საკუთარი ინტელექტის შესაძლებლობებზე დააფუძნონ. ღია საზოგადოების წერებს ახასიათებთ რაციონალურობისაკენ სწრაფვა, საზოგადოების წევრები აცნბიერებენ რომ მეორე ინდივიდი ინტელექტია, გონია. ინტელექტი და გონი აქცევს ადამიანს თვითკმარ ინდივიდად (ბერძენიშვილი, 2011).

ღია საზოგადოების სხა ბევრი ნიშანი სიძლება გამოვყოთ მაგრამ მათგან ძირითადი ორია:

1. ნებისმიერი სოციალური პრობლემის თავისუფალი განცხილვის კანონიერება, რატა ამ საარო დისკუსიებს განხილვის შედეგებმა გავლენა მოახდინოს პოლიტიკაზე.

2. ინსტიტუტების არსებობა, რომლებიც ხელს უწყობენ და ეხმარებიან იმ ადამიანებს, რომლებიც არ ეძებენ გამორჩენას. (ბერძენიშვილი, 2011).

ინფორმაციულ საზოგადოებაზე საუბრობენ თეორეტიკოსები, რომელთათვისაც საკითხი მნიშვნელოვანი განხილვის საგანი იყო. მაგალითად, მანუელ კასტელსი გამოხატავს პოსტმოდერნისტული სოციალური თეორიის საპირისპირო პოზიციას, იგი იკვლევს ახალი საზოგადოების, კულტურისა და ეკონომიკის აღმოცენებას 70-იან წლებში აშშ-ში დაწყებული ინფორმაციულ-ტექნოლოგიური (ტელევიზია, კომპიუტერები) რევოლუციის კუთხით. ამ რევოლუციამ, თავის მხრივ, დაწყებული 80-იანი წლებიდან გამოიწვია კაპიტალისტური სისტემის ფუნდამენტალური გარდაქმნა და გაჩენა იმისა, რასაც კასტელსი „ინფორმაციულ კაპიტალიზმს“ ეძახის. გარდა ამისა აღმოცენდა „ინფორმაციული საზოგადოება“. ორივე აღნიშნული ფორმა ეფუძნება „ინფორმაციონალიზმს“ – რომლის დროსაც, განვითარების წესი, წარმოების ძირითადი წყარო არის ცოდნისა და ინფორმაციის საფუძველზე წარმოების ფაქტორების ოპტიმიზირების თვისობრივი შესაძლებლობის უნარი“ ინფორმაციონალიზმის განსაკუთრებით ინფორმაციული კაპიტალიზმისა, გავრცელება, იწვევს პიროვნებასა და იდენტურობაზე დაფუძნებული ოპოზიციური სოციალური მოძრაობების აღმოცენებას „პროცესი, რომლის საშუალებით სოციალური აქტორი აცნობიერებს საკუთარ თავს და მნიშვნელობას აყალიბებს, პირველ რიგში, მოცემული კულტურული ნიშნის ან ნიშანთა ჯამის საფუძველზე და გამორიცხავს სხვა სოციალური სტრუქტურების დახმარებას“. ეს მოძრაობები მარქსისტული „კლასობრივი ბრძოლის“ თანამედროვე ექვივალენტებია. იმედს, წინააღმდეგობა გაუწიო ინფორმაციული კაპიტალიზმისა და მისი თანმდევი პრობლემების (ექსპლოატაცია, მუქარა პიროვნებასა და იდენტურობაზე, ინფორმაციული შეზღუდვები) გავრცელებას, იძლევა არა მუშათა კლასი, არამედ განსხვავებული სოციალური მოძრაობები (მაგალითად, ეკონომიური, ფემინისტური), რომლებიც ძირითადად იდენტურობას ეფუძნებიან.

კასტელსის ჩატარებული ანალიზის არსი მდგომარეობს იმაში, რასაც ის ინფორმაციული ტექნოლოგიის პარადიგმას ეძახის. ამ უკანასკნელს აქვს ხუთი ძირითადი თვისება.

ჯერ-ერთი, ესაა ტექნოლოგიები რომლებიც გავლენას ახდენენ ინფორმაციაზე.

მეორე, რადგან ინფორმაცია არის ადამიანის მოღვაწეობის ძირითადი ნაწილი, ამ ტექნოლოგიების გავლენა ყოველმხრივია.

მესამე, ყველა სისტემები, რომლებიც იყენებენ ინფორმაციულ ტექნოლოგიას, განისაზღვრებიან „ქსელის ლოგიკით“, რომელიც მათ აძლევს საშუალებას იქონიონ გავლენა მრავალ პროცესსა და ორგანიზაციაზე.

მეოთხე, ახალი ტექნოლოგიები ძალზე მოქნილებია, რაც იძლევა მუდმივი ცვალებადობისა და ადაპტირების შესაძლებლობას.

მეხუთე, ინფორმაციასთან დაკავშირებული ცალკეული ტექნოლოგიები ერთიანდებიან უკიდურესად ინტეგრირებულ სისტემაში (კასტელსი, 2000).

კასტელსის აზრით “ინფორმაციული ეპოქა” “ახალი საზოგადოების” წარმოქმნას მოასწავებს, რომელიც ქსელთა გაშლისა და გაფართოების წყალობით წარმოიშობა (ქსელები კი უზრუნველყოფილია ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიებით) და რომელშიც პრიორიტეტული მნიშვნელობა ინფორმაციულ ნაკადებს აქვს. მისი აზრით, ყველა საზოგადოება იყენებდა ინფორმაციას, და შესაბამისად ტერმინი “ინფორმაციული საზოგადოება” არ ფლობს დიდ ანალიტიკურ ღირებულებას დამდეგი ერის თავისებურებების განმსაზღვრებისათვის. თანამედროვე სიტუაციის აღწერისას, კასტელსი უპირატესობას ტერმინ “ინფორმაციულ კაპიტალიზმს” ანიჭებს. კასტელსისთვის საკვანძო მნიშვნელობის ტერმინი “ინფორმაციონალიზმი” ნიშნავს “ცოდნის ცოდნაზე ზემოქმედებას როგორც ნაყოფიერების (მწარმოებლურობის) ძირითად წყაროს”, შესაბამისად „ახალ ეკონომიკაზე, აგრეთვე „ახალ საზოგადოებაზე“, გადასვლას. მეორეს მხრივ, ტერმინი „კაპიტალიზმი“, კასტელს აძლევს იმის დანახვის შესაძლებლობას, რომ კვლავაც პრევალირებს ეკონომიკური ურთიერთობების ჩვეული ფორმები (მოგებისადმი სწრაფვა, კერძო საკუთრება, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და ა.შ.). იგი აღნიშნავს, რომ „ინფორმაციონალური კაპიტალიზმი, - ეს კაპიტალიზმის განსაკუთრებით

უმოწყალო - ულმობელი, მტაცებლური ფორმაა, რამდენადაც იგი ქსელური კავშირების წყალობით თავის თავში აერთიანებს არნახულ მოქნილობას გლობალურ არსებობასთან (კასტელსი, 2000).

კასტელსი ასაბუთებს, რომ ჩვენ განვიცდით „ინფორმაციულ ეპოქაში გადასვლას, რომლის მთავარი ნიშანი ხდება ქსელი, რომელიც თავის მხრივ ერთმანეთს შორის აკავშირებს ადამიანებს, ინსტიტუციებს და სახელმწიფოს. ეს მრავალ შედეგს იწვევს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი – მზარდ გლობალურ საქმიანობასა და გამწვავებულ სოციალურ დაყოფას შორის განხეთქილების შესაძლო გაღრმავებაა. კასტელსს საკითხის ორივე მხარე აინტერესებს, მას სურს იკვლიოს ის წესები, რომელთა მეშვეობით გლობალიზაცია ადამიანთა შორის ერთის მხრივ ინტეგრაციას აძლიერებს, ხოლო მეორეს მხრივ ფრაგმენტაციას და დეზინტეგრაციას უწყობს ხელს. ეს ტრილოგიის ძირითადი საკითხი გახდა (კასტელსი, 2000).

კასტელსის მიხედვით, ინფორმაციული ეპოქის დაწყება 1970-იან წლებში ხდება. იგი ემთხვევა კაპიტალისტური კრიზისის პერიოდს, რომელმაც გვამცნო იმის დასასრული, რაც ომისშემდგომ მოწყობად იყო მიღებული (სრული დასაქმება, მზარდი ცხოვრებისეული სტანდარტები, სოციალური უზრუნველყოფის სახელმწიფო სისტემები და ა.შ.) კრიზისმა კაპიტალისტური მეწარმეობის რესტრუქტურისაცა დააჩქარა, რეცესიებითა და მზარდი კონკურენციით შებოჭილი კორპორაციები მოგების ახალ წყაროებს ეძებდნენ. მოხდა ისე, რომ ეს რესტრუქტურისაცა, კასტელსის ტერმინოლოგიით, განვითარების ინფორმაციული წესის წარმოშობას დაემთხვა, მოვლენას, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ინფორმაციის ზრდასთან და კომუნიკაციურ ტექნოლოგიებთან (კასტელსი, 1996).

ჩვენ შევედით ქსელური საზოგადოების ახალ ეპოქაში, რომელიც კაპიტალიზმის და “ინფორმაციული რევოლუციის” შეზრდის შედეგად წარმოიშვა. კასტელსი ფიქრობს, რომ საკითხი აქ მხოლოდ გლობალიზაციაში არაა, თუმცა, რასაკვირველია, ისიც მნიშვნელოვან როლს თამაშობს. შეიცვალა გლობალურ ინტეგრაციასთან დაკავშირებული ორგანიზაციული ფორმებიც, რომლებიც ქსელურ გავრცელებას ეყრდობიან, რამაც დებიუროკრატიზაციასთან მიგვიყანა. იგულისხმება, რომ გიგანტურ ტრანსნაციონალურ კორპორაციებშიც კი ბიუროკრატია ადგილს

“სიმშვიდის რეალურ დამრღვევებს”, ინფორმაციულ მუშაკებს უთმობს, რომლებიც ოპერირებენ ქსელებში, გარიგებებს სდებენ მთელ მსოფლიოში, მუშაობენ რაღაც პროექტზე და პოულობენ საბაზრო ნიშებს და რომლებიც უფრო მეტად თავიანთ მსგავს მუშაკებთან არიან დაკავშირებულნი, ვიდრე იმ კომპანიასთან, სადაც ისინი დროებით საფუძველზე მუშაობენ (კასტელსი, 2000).

მჭიდროდ ნაქსოვი ხალიჩის მსგავს მსოფლიოს სურათის ხატვისას, კასტელსი ყოველგვარი ორაზროვნების გარეშე გვაგებინებს, თუ როგორი მიმართულებით ვითარდება ქსელური საზოგადოება. შრომის უახლესი საერთაშორისო დანაწილებები შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგრამ მისი ზოგადი და საერთო მიმართულება ცხადია და ოთხი ვარიანტი აქვს, სახელდობრ:

- ინფორმაციულ შრომაზე დაფუძნებული მაღალი ღირებულების მწარმოებლები.
- შრომის არცთუ მაღალ ღირებულებაზე დაფუძნებული დიდი მოცულობების მწარმოებლები.
- ნედლეულის მწარმოებლები (რომლებსაც საფუძვლად ბუნებრივი რესურსები აქვს).
- ჭარბი მწარმოებლები (რომლებიც თითქმის გაუფასურებულ \_ უფასო შრომით სარგებლობენ) (კასტელსი, 2000).

აგრეთვე, დენიელ ბელი თვლის, რომ შევდივართ ახალ სისტემაში, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, რომლის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი ინფორმაციის მნიშვნელობისა და ხარისხის ზრდაა. ბელი მიიჩნევს, რომ ხარისხიანი ინფორმაცია პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოების გასაღებია. ერთის მხრივ, პოსტინდუსტრიალიზმი ახდენს ინფორმაციის ზრდას, რომელიც გამოიყენება და მეორეს მხრივ, პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში განსაკუთრებით აშკარაა თეორიული ცოდნის როლისა და მნიშვნელობის ზრდა. შხვანაერად რომ ვთქვათ, პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოება არის არამხოლოდ დიდი ინფორმაცია, აქ თამაშში შედის მეორე ტიპის ინფორმაცია- ცოდნა (ბელი, 2001).

ბელი განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ არ შეიძლება ცვლილებები განვიხილოთ ისე, რომ თითქოს ისინი გამომდინარეობდნენ ერთი სფეროდან, ცვლილებები გავლენას



ახდენენ საზოგადოების ყველა დანარჩენ პარამეტრზე. ის თვლის, რომ საზოგადოებები „რადიკალურად განცალკევებულია“, ე.ი. არსებობს დამოუკიდებელი „სფეროები“- სოციალური სტრუქტურა, პოლიტიკა და კულტურა, რომლებიც არსებობენ ავტონომიურად, ასე რომ ერთ სფეროში არსებული შემთხვევები არაა სავალდებულო იწვევდეს განსხვავებულ, სხვადასხვა შედეგებს. მაგ.: თუ იცვლება რაიმე ეკონომიკაში, ამით შესაძლოა პოლიტიკური სიტუაციები დადგეს რაიმე სირთულის წინაშე, მაგრამ ბელი ამტკიცებს, რომ ეს არ იწვევს ავტომატურ, თავისთავად ცვლილებებს, სოციალური სტრუქტურის სფერო ეს სხვა საქმეა და პოლიტიკა სხვა. (ბელი, 2011).

ბელის აზრი თეორიულ ცოდნაზე, ანალიტიკურია და შესაძლოა, მნიშვნელოვნად დაშორებული რაოდენობრივი ფაქტორებისგან, რომლებზეც მიდიოდა საუბარი, ფლობს დიდ მიმზიდველობას, ვიდრე მისი პოსტინდუსტრიალიზმის განსაზღვრება, როგორც შემობრუნება მომსახურეობის წარმოებისგან. რამდენადაც თეორიული ცოდნა გულისხმობს ხარისხიან ცვლილებებს, რათა მიიღოს სერიოზული შედეგები საზოგადოებრივი სფეროს დაგეგმვისა და კონტროლისათვის, ეს იდეა იპყრობს ყველას ყურადღებას, ვინც დაინტერესებულია სოციალური ცვლილებებით და ინფორმაციის მნიშვნელობით (ცოდნა) თანამედროვე დროში. ინტუიტურად მკითხველი გრძნობს ბელის სიმართლეს, თუმცა ეს აზრი ბოლომდე განუვითარებელი დარჩა დააშკარად მეორე ადგილს იკავებს, პირველ ადგილს შრომის საკითხებს უთმობს. ბელის ნაშრომებში ის განხილულია ისე ზოგადად, რომ მისი გამოყენება შეიძლებოდა ანალიზისთვის, ან უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ისინი სიახლესთან და მის ფენომენტთან დაკავშირებით ეჭვს იწვევენ. მიუხედავად ამისა, ჩემი აზრით, ეს ყველაზე საინტერესო და დამაჯერებელი არგუმენტია იმის სასარგებლოდ, რომ ინფორმაციულ ეპოქაში ვცხოვრობთ. (ბელი, 2011).

ციფრული ტენოლოგიების განვითარების ტემპები აიძულებს წარმატებულ მომავალზე ორიენტირებულ საზოგადოებას ფეხი აუწყოს პროცესს, მაქსიმალურად გამოიყენოს სიახლეები ულტურულ, ეკონომიკურ თუ სხვა სფეროებში. საინფორმაციო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ხარისხსაც მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა და განსაზღვრავს მეცნიერულ-ტექნიკური განვითარების დონე. დღეს, 21-ე საუკუნეში

საკმარისი აღარ არის, თუ რა რაოდენობით ვვაწვდით ინფორმაციას მომხმარებელს. საინფორმაციო მომსახურების გაზრდილი ხარისხი ახალ-ახალ მოთხოვნებს აყენებს, რომელთა რეალიზება თავის მხრივ მოითხოვს კრეატიულ მიდგომას საინფორმაციო რესურსის მიწოდების ფორმათა თვალსაზრისით.

ეროვნული ბიბლიოთეკის ოციალურ ვებ-გვერდზე განთავსებულმა ლესიკონებმა უკვე რამდენიმე წელია შემდგომ სისტემა-„საართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლესიკონთა ეროვნული ბაზა“, რომელიც თავის მხრივ, უფრო რთული სისტემის „საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა“-შემადგენელი ნაწილია.

ბიბლიოთეკას აკისრია მნიშვნელოვანი ფუნქცია-მოვალეობები:

- ბიბლიოთეკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს, სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის ინფორმაციული უზრუნველყოფა მოსწავლეთა და პედაგოგთა საბიბლიოთეკო და საინფორმაციო-ბიბლიოგრაფიული მომსახურების ფორმებისა და მეთოდების გამოყენებით.
- ბიბლიოთეკა ფლობს სხვადასხვა დარგის სასწავლო, სამეცნიერო-პოპულარულ, მხატვრულ და მეთოდური შინაარსის საბიბლიოთეკო ფონდებს.
- თავისი ამოცანების შესასრულებლად ბიბლიოთეკა: იძენს, იცავს და ხელმისაწვდომს ხდის საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდებს სკოლის მიზნების გათვალისწინებით, სისტემატურად ანახლებს საბიბლიოთეკო დოკუმენტების ფონდებს მათში ტრადიციული და ელექტრონული ინფორმაციის წყაროების წარმოდგენით, ნერგავს ახალ საბიბლიოთეკო ტექნოლოგიებს, ხელს უწყობს სასწავლო პროცესის კომპიუტერიზაციას, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით მოსწავლეებს გამოუმუშავებს ინფორმაციის დამოუკიდებელი ძიების უნარს, ქმნის კატალოგებს და კარტოთეკების სისტემას თანამედროვე სტანდარტების მოთხოვანთა შესაბამისად და სხვ. (საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების დებულება, 2016).

სისტემაში-„საართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ერთიანი ბაზა“ გამოიყოფა სულ მცირე ორი ურთიერთდაკავშირებული ქვესისტემა: 1. მომხმარებელი. 2. ელექტრონული ლექსიკონები. თავის მხრივ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებს „მომხმარებელი-„ციფრული ლექსიკონები“. ქვესისტემების „საჯარო ბიბლიოთეკა“, „სკოლა“ ურთიერთკავშირი არ შეესაბამება საზოგადოების თანამედროვე მოთხოვნებს. აუცილებელია გატარდეს სკოლებისა და საჯარო ბიბლიოთეკების განვითარებისათვის და მხარდაჭერისათვის საგანმანათლებლო რეორმა. სკოლისა და საჯარო ბიბლიოთეკის ურთიერთთანამშრომლობა შეიძლება იყოს ერთადერთი გამოსავალი რომელიც უზრუნველყოფს მოზარდების საჭიროებების განხორციელებას, მათი უკეთესი მომსახურების გაუმჯობესებას, განათლების, პირადი ინტერესების და კარიერული ზრდის საკუთხებს (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2017).

საჯარო ბიბლიოთეკები ფლობენ ძირითადად სამი სახის რესურსს:

1. ბეჭდურს
2. ელექტრონულს
3. ადამიანურს და მიწოდების ორ საშუალებას: პირდაპირი და შუამავლითი (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2017).

რესურსების მიწოდებაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით საჯარო ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების გაკვეთილზე გამოყენების შესაძლებლობას. ბუნებრივია კლასებში ამ ტიპის რესურსების გამოყენებისას განსაკუთრებული მნიშვნელობა ინტერნეტის გამოყენებას ენიჭება.

ზემოთაღნიშნული რესურსებიდან ქვესისტემა სკოლა , ქვესისტემა „საჯარო ბიბლიოთეკის“ რესურსებიდან მეტ-ნალებად სრულად მხოლოდ ადამიანურ (ინტელექტუალურ) რესურსს იყენებს. უკანასკნელ წლებს თუ არ ჩავთვლით სკლა პირველ ორ რესურსს ფაქტობრივად არ იყენებდა. მოსწავლეები ფაქტობრივად არ იცნობენ „ საქართველოს პარლამენტის ლექსიკონთა ერთიანი ბაზას“.

სისტემის-საჯარო ბიბლიოთეკისა და სკოლის მეტად დაახლოებისათვის მნიშვნელოვანია იმ საჭიროებათა გამოკვლევა, რომელიც ამჟამად სკოლისათვის პრიორიტეტულია. ამ მიზნით ეროვნული ბიბლიოთეკის მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ დღეს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა სასკოლო ლესიკონთა ერთიანი ბაზა“. მოსწავლეებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველია იმ სასკოლო ლესიკონის მიწოდება, რომელიც კონკრეტულ დროში, ამა თუ იმ ნაწარმობის შესწავლისას წაადგებათ (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2017).

თანამედროვე ინფორმაციული ტექნოლოგიები ბევრ სფეროში გამოიყენება, ტექნოლოგიების დანერგვა და ცვლილებების განხორციელება განაპირობა მსოფლიოში ინტერნეტის ფართოდ გავრცელებამ, ამის გამო საინფორმაციო სისტემებს მიენიჭა ახალი როლი ბიზნესს, მენეჯმენტსა და სხვა სფეროებში. კომპანიები იყენებენ ინტერნეტსა და ქსელურ ტექნოლოგიებს სამუშაოს მეტი ნაწილის ელექტრონულად შესასრულებლად, ცალკეული საწარმობის, ფილიალების და ოფისების თანამშრომლების დასაკავშირებლად მთელი მსოფლიოს მასშტაბით. დღეს ინტერნეტ ტექნოლოგიები უზრუნველყოფს ფართო კომუნიკაციას და იძლევა ანალიზის ჩატარების საშუალებას.

გლობალური კომუნიკაციის და ინფორმაციული ტექნოლოგიების მეშვეობით მომხმარებლებს შეუძლიათ გავიდნენ მსოფლიო ბაზარზე, მიიღონ ინფორმაცია პროდუქციისა და მომსახურების ხარისხის თაობაზე, ასევე მათი პასების შესახებ 24 საათის განმავლობაში. საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტული საქმიანობისათვის კომპანიებს სჭირდებათ ძლიერი საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემები. ამასთან, ინფორმაციული ტექნოლოგიები კატასტროფული სისწრაფით ვითარდება დღევანდელ მსოფლიოში, იცვლება და იხვეწება ურთიერთობები, ასევე იხვეწება ამ ურთიერთობის ზეგავლენის მეთოდები და ხერხები.

ინფორმაცია იქცა მსოფლიო სტრატეგიულ რესურსად, ისევე როგორც ნედლეული და ენერჯია. დღეს ქვეყნის ეკონომიკურ ძლიერებას განსაზღვრავენ ინფორმაციული რესურსების და ჯამური კომპიუტერული სიმძლავრეების მოცულობებით.

ინფორმაციული სისტემები სჭირდებათ ორგანიზაციებს არსებობისა და განვითარებისათვის. ინფორმაციული სისტემები ეხმარება კომპანიებს გააუმჯობესონ კავშირები დაშორებულ ადგილებთან, შესთავაზონ ახალი პროდუქტები და მომსახურება, შექმნან სამუშაო ადგილები და ნაკადები და შესაძლებელია შეცვალონ ბიზნესის წარმოების წესიც. აღარ არსებობს მანძილის ბარიერი. მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში შეგიძლიათ თანამოაზრის პოვნა თუ საჭირო ინფორმაციის მოპოვება და ინფორმაციის მიმოცვლა. საზოგადოება ბევრად უფრო ინფორმირებული და ღია ხდება.

ინფორმაციის ეფექტიანობა და ხარისხი განისაზღვრება შემდეგი კრიტერიუმებით:

- ინფორმაცია უნდა იყოს საიმედო(ზუსტი), რადგან თუ მომხმარებელი აღმოაჩენს შეცდომებს მიღებულ ინფორმაციაში, შემდგომში იგი ქვეცნობიერად უნდობლად მოეკიდება ამ გზით მიღებულ ყელა ცნობას.
- ინფორმაცია უნდა იყოს დროული და ფასეული, მომხმარებელმა ინფორმაცია უნდა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან მოგვიანებით იგი მისთვის ნაკლებად საჭირო და ღირებული ხდება.
- ინფორმაცია უნდა იყოს საჭირო მოცულობის (კომპაქტური), ზოგიერთი მენეჯერი ცდილობს მონაცემთა ჭარბი რაოდენობის თავმოყრას, რაც არასწორია, ვინაიდან ხშირად მონაცემთა დიდი მასივის დამუშავება, ფიზიკურად შეუძლებელია, ხოლო დახარჯული რესურსების სანაცვლოდ მიღებული ინფორმაციის დიდი ნაწილი გამოუყენებელი რცება.
- ინფორმაცია უნდა იყოს მნიშვნელოვანი და მიზანშეწონილი, ვინაიდან სხვადასხვა დონის მენეჯმენტი განსხვავებული ხასიათის ინფორმაციას მოითხოვს (ჩლაიძე, 2015).

ამგვარად, ინფორმაცია უნდა იყოს მიზანმიმართული, პრობლემაზე ორიენტირებული, სასარგებლო, ხარისხიანი, ხელმისაწვდომი, გასაგები, მკაფიო და ზედმეტი დეტალების გარეშე, იგი დროულად უნდა მიეწოდოს მომხმარებელს და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ეთიკის ნორმებს.

დღესდღეობით განასხვავებენ ინფორმაციული სისტემების შემდეგ ფორმებს:

- ტრადიციული ინფორმაციული სისტემები(ინფორმაციის სიტყვიერი ან სხვა ფორმით გადაცემა).
- ინფორმაციული სისტემები ქაღალდის მატარებელზე.
- კომპიუტერზებული ინფორმაციული სისტემები.

ტელემედიცინა თანამედროვე მედიცინის მიმართულებაა, რომელიც ეფუძნება თანამედროვე კომპიუტერული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების გამოყენებას სპეციალისტთა შორის ინფორმაციის მიმოცვლისათვის, კონკრეტული პაციენტის დიაგნოსტიკის და მკურნალობის ხარისხის ამაღლების და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ტელემედიცინის ძირითად და პირველხარისხიან ამოცანას დისტანციური დიაგნოსტიკა წარმოადგენს. კლინიკური ტელესამედიცინო პროგრამები დღეისათვის აშშ-ს სულ მცირედ 40 შტატში არსებობს, შექმნილია 70ზე მეტი მსხვილი ელექტრონული ქსელი. მსხვილ სამკურნალო დაწესებულებებს საკუთარი ტელესამედიცინო პროგრამები გააჩნია.

ტელემედიცინის, როგორც „დისტანციური დიაგნოსტიკის“ პირველ ნაბიჯებად შეიძლება ჩაითვალოს პირველი კოსმონავტების ფიზიოლოგიური მაჩვენებლების ტელემეტრიული ჩანაწერი, და ასევე პირველი კოსმონავტების კოსმოსში ყოფნისას მიცემული სამედიცინო რჩევები (ჩლაიძე, 2015)

სპეციალისტების წარმოდგენით ტელემედიცინა პირველ რიგში რჩება დისტანციური დიაგნოსტიკის შესაზღებლობად, მაგრამ მისი პოტენციური შესაძლებლობები გაცილებით უფრო ფართოა. ქსელური ტექნოლოგიები იძლევა:

- სამედიცინო ისტორიის დოკუმენტური გადაცემის შესაძლებლობას პაციენტების გადაყვანისას კლინიკიდან კლინიკაში.
- სამედიცინო პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების ახალ შესაძლებლობებს.
- ახალი სამედიცინო ტექნოლოგიების და მეთოდების ფართო დანერგვას.
- დისტანციური სამედიცინო კონსულტაციების, კონსილიუმების, ტელეკონფერენციების და ტელემანიპულაციების შესაძლებლობებს (ჩლაიძე, 2015).

პირველად საქართველოში 2014 წლის გაზაფხულზე ჯანდაცვის სისტემაში განხორციელდა უპრეცედენტო პროექტი: მედიცინის დოქტორმა, პროფესორმა,


ქირურგმა ნიკოლოზ ფრუიძემ დაარსა ტელემედიცინის კლინიკა საქართველოს რეგიონებში მცხოვრები მოსახლეობისათვის. პაციენტი ვიზიტზე მიდის თავისსავე რეგიონში განთავსებულ ფილიალში და მისთვის განკუთვნილ დროს, სპეციალურად შექმნილი ვიდეო პროგრამის საშუალებით ესაუბრება ექიმს, რომელიც უწევს გეგმიურ ამბოლატორიულ მომსახურებას თბილისის ოფისიდან და ასევე პარტნიორი კლინიკებიდან. ასევე, პირველად საქართველოში დაიწყო UNICEF-ის პროექტი: „სოფლის პირველადი ჯანდაცვის ექთნებისათვის განკუთვნილი ტრენინგი ბავშვის ზრდისა და განვითარების მონიტორინგის საკითხებში დისტანციური ტელემედიცინის გამოყენებით“. პროექტი საპილოტოა და მოიცავს იმერეთის, რაჭის, ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის სოფლებში მომუშავე 375 ექთანს. მას ანხორციელებს ნ.ფრიუძის ტელემედიცინის კლინიკა, პედიატრთა და ნეონატოლოგთა კავშირ „ალტერნატივა“-სთან ერთად. დისტანციური ტელეტრენინგებისთვის გაიხსნა 7 ტრენინგ ცენტრი ზესტაფონში, თერჯოლაში, სამტრედიაში, წყალტუბოში, ჭიათურაში, ამბროლაურში და ცაგერში. სწავლება წარმოებს UNICEF-ის თბილისის ოფისიდან (ჩლაიძე, 2015).

ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვა დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციის მუშაობის ხარისხზე, სტილსა და კულტურაზე. მათი დანერგვა ხელს უწყობს პერსონალის ცოდნისა და კვალიფიკაციის დონის ამაღლებას. საინფორმაციო სისტემები წინა პლანზე წამოწევენ ახალ ამოცანებს, ხელს უწყობს მათი გადაჭრის გზების ძიებას. საინფორმაციო სისტემების დანერგვა მოითხოვს თანამშრომელთა სწავლების სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას, რომელიც უნდა ითვალისწინებდეს არა მარტო ახალი ტექნოლოგიების ათვისებას, არამედ პერსონალის მიერ მუშაობისთვის სწავლებად ახალი სტილის გამომუშავებასაც. ამასთან სწავლება უნდა ხორციელდებოდეს რამდენი ეტაპად და ითვალისწინებდეს ორმხრივ ინიციატივებს, როგორც ადმინისტრაციის, ისე უშუალოდ პერსონალის მხრიდან (ჩლაიძე, 2015).


თანამედროვე ტექნოლოგიებმა და ინტერნეტმა ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და კომუნიკაცია გაამარტივა. დღეს მსოფლიოს მთავრობებმა აქტიურად დაიწყეს ინტერნეტის საშუალებით მოქალაქეებთან კომუნიკაციის დანერგვა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ხელისუფლებების ანგარიშვალდებულების გასაზრდელად აქცენტი კეთდება მათი საქმიანობის შესახებ დეტალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

ინტერნეტ რესურსების ეფექტური გამოყენების შემთხვევაში შესაძლებელია ბიუროკრატიული პროცედურების გამარტივება, პირდაპირი კომუნიკაციის აგება, აზრთა ურთიერთგაცვლა და საბოლოო ჯამში, მთავრობის მეტი ღიაობის უზრუნველყოფა. ამ ყველაფრის წინაპირობას ქვეყნის მასშტაბური ინტერნეტიზაცია და მასობრივი ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დანერგილი ელ-საშუალებებით მოქალაქეების მხოლოდ შეზღუდული ნაწილი ისარგებლებს (ჩლაიძე, 2015).

კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) 2012 წლის მონაცემების მიხედვით, წინა წელთან შედარებით გაზრდილია დედაქალაქსა და სოფლებში მაცხოვრებელთა რიცხვი, რომლებიც ინტერნეტს ყოველდღიურად იყენებენ. თუ 2011 წელს თბილისში ეს მაჩვენებელი 41%-ს შეადგენდა, მომდევნო წელს იგი 46%-მდე გაიზარდა.<sup>2</sup> რაც შეეხება იგივე მონაცემებს სოფლების შემთხვევაში, 2011 წლის 4%-იანმა მაჩვენებელმა 7%-მდე მოიმატა. ქალაქებში კი მსგავსი მაჩვენებელი ორივე წელს 28% გახლდათ. (კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი , 2012 ).








(კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, 2012).

ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ზრდასთან ერთად, აუცილებელია არსებობდეს ჩართულობის მზაობა თავად მოსახლეობაშიც. აღნიშნულის გათვალისწინებით, საინტერესოა თუ რა ძირითადი აქტივობებით არიან დაკავებულნი ინტერნეტის მომხმარებელნი საქართველოში. გრაფიკიდან იკვეთება, რომ ყველაზე ხშირად მოქალაქეები იყენებენ სოციალურ ქსელებს, ეძებენ ინფორმაციას და აგზავნიან/იღებენ ელ-ფოსტას. თუმცა, ისინი ნაკლები სიხშირით აქტიურობენ ფორუმებზე და წერენ ბლოგებს. ეს მიუთითებს იმაზე, რომ ინტერნეტ მომხმარებლები შესაძლოა უფრო ხშირად ინფორმაციის მიმღებები არიან და ნაკლებად ცდილობენ ინტერაქციასა და აზრთა ურთიერთგაცვლაზე ორიენტირებული საშუალებების გამოყენებას. ამის მიუხედავად, გამოკითხვიდან ჩანს, რომ მომხმარებლები გასართობ საშუალებებზე მეტად, ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ სიახლეების გაგებას ანიჭებენ უპირატესობას (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2013).

მნიშვნელოვანია აგრეთვე სოციალური ქსელების მომხმარებელთა რიცხვის მაღალი რაოდენობა. საგულისხმოა, რომ საქართველოში ერთ-ერთი გავრცელებული სოციალური ქსელი Facebook-ია, Social Bakers-ის მიხედვით, დღეისათვის მას 1 მლნ 60 ათასი მომხმარებელი ჰყავს - ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის დაახლოებით 22,89%.8 მართალია გასათვალისწინებელია ყალბი ანგარიშების ფაქტორი, მაგრამ სხვა წყაროებზე დაყრდნობითაც შეინიშნება Facebook-ის მომხმარებელთა ზრდის

ტენდენცია. კერძოდ, სოციალური მედიის ანალიზის ვებ-გვერდის [www.quintly.com](http://www.quintly.com)-ის თანახმად, წინა წელთან შედარებით, 34,75%-ითაა გაზრდილი Facebook-ის აქტიურ მომხმარებელთა ოდენობა (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2013).



(ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2013).

აღნიშნული კვლევის შედეგები ეყრდნობა IDFI-ის მიერ ინტერნეტით ჩატარებული გამოკითხვის შედეგები ძირითად ასპექტებში დაემთხვა საქართველოს მასშტაბით განხორციელებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებს. მათი შეჯერებით შემდეგი დასკვნების გამოტანა შეიძლება:

ყოველწლიურად ინტერნეტ მომხმარებელთა მზარდი ტენდენციის მიუხედავად, მოსახლეობის უმეტესობას ხელი არ მიუწვდება აღნიშნულ ქსელზე. განსაკუთრებით სერიოზული პრობლემებია საქართველოს რეგიონებში;

საქართველოს მოსახლეობის ნაწილი ინტერნეტს ნაკლებად მნიშვნელოვან საკომუნიკაციო რესურსად მიიჩნევს, სხვებისთვის კი მასზე ხელმისაწვდომობის მთავარი დაბრკოლებებია: კომპიუტერის არქონა, საჭირო უნარების ნაკლებობა და ინტერნეტის სიმცირე. ქსელის გამოყენების პრობლემები გაცილებით მასშტაბურია რეგიონებში.

კვლევებმა აჩვენა, რომ მომხმარებელთა უმეტესობა ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებს ძირითადად ინფორმაციის მიღებისათვის იყენებს, პრიორიტეტული არ არის ორმხრივი კომუნიკაცია და მოსაზრებების მკაფიოდ დაფიქსირება.

დაბალია მოქალაქეების აქტიურობა პეტიციებისა და საკუთარი იდეების ინიცირების კუთხით. თუმცა, ინტერნეტ გამოკითხულთა უმეტესობამ (რესპონდენტების უმეტესობა სოციალურად აქტიური ადამიანები იყვნენ) მზადყოფნა გამოთქვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობისთვის, ამისთვის საჭირო მექანიზმების დანერგვის შემთხვევაში (ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი, 2013).

დღეს თანამედროვე სამყაროში კომპიურეტი, ინტერნეტი, მობილური სატელეფონო კავშირი, ტელე და ვიდეო კომუნიკაცია ძალიან აქტუალურია. თუმცა საზოგადოების მხოლოდ მცირე ნაწილმა იცის, რომ ამ ყოველივეს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები ჰქვია.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT)- ეს არის ტექნოლოგიები, რომლის დახმარებითაც ხორციელდება ინფორმაციის დამუშავება, გაგზავნა და კავშირი ელექტრონული გზით. (ICT) გულისხმობს ძველი და ახალი ტექნოლოგიების მთელს სპექტრს, როგორცაა: რადიო, ტელევიზია, კომპიუტერი და ინტერნეტი, მობილური, ფაქსი, პრინტერი და სხვ. (ICT) აძლევს საშუალებას ადამიანებს მიიღონ მონაწილეობა ეკონომიკურ და სამოქალაქო ცხოვრებაში სახლიდან გაუსვლელად. ასევე ფლობს უდიდეს პოტენციალს და სოფლად მცხოვრებ ადამიანებს შესაძლებლობას აძლევს მიიღონ განათლება, მოიძიონ სამსახური, მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა პროცესებში. თუმცა ხშირად ხდება რომ მოსახლეობის ღარიბი ფენა ვერ ახერხებს ჰქონდეს წდომა ამ ტექნოლოგიებთან, განსაკუთრებით ი ეს ხდება ნაკლებანვითარებულ სოფლებში. აღნიშნულ ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახილებულია ქალებზე. მნიშვნელოვანია გატარდეს ისეთი პოლიტიკა, რომელიც ალებს შეუწყობს ხელს უფრო მეტად იყვნენ ჩართული ამ პროცესში (ქალთა საინფორმაციო ცენტრი, 2011).

სახელმძღვანელოში მნიშვნელოვანი აქცენტი ქალთა ინფორმირებულობაზეა გაკეთებული. ქალებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა მიიღონ აუცილებელი ცოდნა და უნარ ჩვევები (ICT) ის გამოსაყენებლად. უვე წლებია ქალთა საინფორმაციო ცენტრი მუშაობს რათა ალებს უფრო ფართოდ მიუწვდებოდეთ ხელი საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე. მათ მიერ გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოში

თავმოყრილია ტრენინგების შედეგად დაგროვილი გამოცდილება, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიმართოს სწავლების სხვადასხვა პროცესს, რათა გააფართოვოს ალების ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობა (ქალთა საინფორმაციო ცენტრი, 2011).

ICT ის დახმარებით ადამიანებს აქვთ საშუალება სწავლების, ინფორმაციის მიღების სასუალება. ICT აძლევს საშუალებას ქალებს გამოხატონ საკუთარი აზრი თავიანთი ვიწრო გარემოცვის მიღმა, ურთიერთობა დაამყარონ სხვა ქვეყნის ქალებთან და უფრო ეფექტიანად გამოიყენონ მთავრობათა პასუხისმგებლობისა და გამჭვირვალობის ამაღლებისათვის. დისტანციური სწავლებისა და ტრენინგებისათვის ICT შესაძლოა გამოადგეთ ალებს რომლებსაც უსაფრთხოების ან საოჯახო საქმიანობის გამო არ შეუძლიათ მეცადინეობებზე ან კურსებზე სიარული.

**ინფორმაციული საზოგადოება** ეს არის საზოგადოება რომელშიც შექმნა, განაწილება, გავრცელება, დანერგვა და მიმართვა ინფორმაციასთან წარმოადგენს მნიშვნელოვან ნაწილს ეკონომიკურ, პოლიტიურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ასეთ საზოგადოებაში საინფორმაციო ტექნოლოგიებს უკავია ცენტრალური ადგილი წარმოების სფეროში, ეკონომიკასა და მთლიანად საზოგადოებაში არ არსებობს ტერმინის „ინფორმაციული საზოგადოება საყოველთაოდ მიღებული განმარტება. ინფორმაციულ საზოგადოებასთან დაკავშირებულ სხვა პრობლემათა შორის ამ ტერმინის ერთიანი განსაზღვრების მოძებნაც იგულისხმევა. ინფორმაცია ყოველთვის სასარგებლო და როდუქტიული არ არის, ის შეიძლება საზიანოც იყოს (ქალთა საინფორმაციო ცენტრი, 2011).

კომიუტერული რევოლუცია- ეს არის მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთი ძირითადი კომპონენტი, რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყელა სფეროზე.

გაეროს გენერალური ასამბლეის 2001 წლის 21 დეკემბრის #56/18319 რეზოლუციით დამტკიცდა, რომ ინფორმაციულ საზოგადოებაზე მსოფლიო სამიტი გაიმართებოდა ორ ეტაპად. პირველი ეტაპი შედგა 2003 წლის 10-12 დეკემბერს, ჟენევაში. ხოლო მეორე 2005 წლის 16—18 დეკემბერს, ტუნისში. მთავარი ამოცანა პირველ ეტაზე იყო პოლიტიკური ნების მკაფიო გამოხატვა და კონკრეტული ნაბიჯების გადადგმა რათა საფუძველი ჩაყროდა ინფორმაციულ საზოგადოებას, რომელიც აერთიანებდა ყველას და ასახავდა არსებით ინტერესებს. ნმეორე ეტაზე

მთავარი ამოცანა იყო ქენევის სამოქმედო გეგმის განხორციელება, ასევე გადაწყვეტილებების მიღება და შეთანხმების მიღწეა ინტერნეტ მართვისა და ფინანსურ სფეროში ქენევისა და ტუნისი დოკუმენტების მომავალი ქმედებების განსაზღვრისთვის (ქალთა საინფორმაციო ცენტრი, 2011).

ციფრულმა რევოლუციამ რომელსაც საფუძვად დაედო საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევები, ფუნდამენტუად შეცვალა აზროვნების ხასიათი, ქცევა, ურტიერთობები. დააჩქარა ჰუმანიტარული და სამედიცინო დახმარების გაწეა, შესაძებლობა მოგვცა ახლებურად შეგეხედა პრობლემებისათვის.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ ქალთა მდგომარეობის გაუარესბა 90-იან წლებში ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე აისახა მათთის ICT ის ხელმისაწვდომობაზეც. ქალებს შეეხოთ შემცირებების პრიტადი დარტყმა, ისინი მოხვდნენ საბაზრო ეკონომიკის ფსკერზე და მოუწიათ ოჯახის ბიუეტსა და სოციალურ დახმარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრა, ყოველივე ეს საზოგადოებაში ქალის როლის მკაცრად გაბატონებული ტრადიციული შეხედულებების ფონზე. ამ ფაქტორებმა გამოიწვია რიგ ქვეყნებში ქალების შმოსავლის შეწყვეტა, მათ აღარ დარჩათ დრო ტექნოლოგიური უნარების გამოსამუშავებლად (ქალთა საინფორმაციო ცენტრი, 2011).

პუბლიკაციაში განხილულია გაეროს კვლევა, რომლის თანახმად ელექტრონულ მთავრობას დიიდ დახმარების გაწევა შეუძლია ქალებისთვის, მაგრამ ამისათვის საჭიროა ქალების ჩართულობა და მათთვის ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა. ინტერნეტი განიხილება პლატფორმა და საშუალბა, რომელიც აღმოფხვრის დისტანციურ პრობლემებს ღია დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მრავალი ქვეყანა ცდილობს შეიმუშაოს ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა იმისათვის, რომ მოემზადონ ინფორმაციულ საზოგადოებაში შესასვლელად. ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყნები შევდნენ ამ პროცესის მეორე ფაზაში და გამოიყენება ხელმისაწვდომობის ფართოზოლიანი საშუალბები. მრავალმა განვითარებადმა ქვეყანამ მოახდინა თავიანთი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფორმულირება. საქართველო 1992 წელს გახდა საერთაშრისო ტელეკომუნიკაციის კავშირის წევრი (ITU). ეს ორგანიზაცია შქმნილია საერთაშორისო დონეზე სტანდარტიზაციის, რადიო-კოორდინაციის, განვითარების სხვა

სატელეკომუნიკაციო საკითხების განსახილველად და საერთო გადაწყვეტილებების მისაღებად.

2004-2009 წლებში საქართველოს ეკონომიკის რთ-ერთ პრიორიტეტულ სექტორად ტელეკომუნიკაციები იქნა აღიარებული. დადგა აუცილებელი რომ შემუშავებულიყო საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ეროვნული სტრატეგია. საინფორმაციო--საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამაში წარმოდგენილია ICT- ის განვითარების მსოფლიო ხედვა და სამომავლო ტენდენციები. ტელესაკომუნიკაციო სექტორი არის ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი ძირითადი სეგმენტი, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენს მაკროეკონომიკურ განვითარების პერსექტივაზე (ქალთა საინფორმაციო ცენტრი, 2011).

ახალი გლობალური ინფორმაციული ეკონომიკის აღმოცენებას თან სდევს ახალი ორგანიზაციული ფორმების \_ ქსელური საწარმოების \_ გაჩენა. სხვა რამესთან ერთად, ქსელური მრეწველობა ხასიათდება მოქნილი წარმოებით, მართვის ახალი სისტემებით (ხშირად გადმოტანილია მენეჯმენტის იაპონური მოდელიდან), უფრო ჰორიზონტალური, ვიდრე ვერტიკალური მოდელის მქონე ორგანიზაციებით და მსხვილი კორპორაციების გაერთიანებით სტრატეგიულ ალიანსებში. და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია \_ ორგანიზაციის ფუნდამენტური კომპონენტია ქსელების ერთობლიობა. კასტელსი ამტკიცებს, რომ „ახალი ორგანიზაციული ფორმა აღმოცენდა, როგორც ინფორმაციულ\გლობალური ეკონომიკის მახასიათებელი: ქსელური დაწესებულება”, გაგებული როგორც „დაწესებულების სპეციფიკური ფორმა, რომლის საშუალებათა სისტემა იქმნება ავტონომიურ სისტემათა მიზნების გადაკვეთის სეგმენტით“. ქსელური დაწესებულება არის გლობალური ინფორმაციული ეკონომიკის კულტურის მატერიალიზაცია და ეს ცოდნის დამუშავების გზით სიგნალების გარდაქმნას საქონლად შესაძლებლად აქცევს. შედეგად იცვლება შრომის ბუნება (მაგალითად, შრომის ინდივიდუალიზაცია სამუშაო დროის გრაფიკის მოქნილი ფორმების შემოღებით), თუმცა ამ ცვლილების კონკრეტული ხასიათი განსხვავებულია სხვადასხვა სახელმწიფოებში. (კასტელსი, 2000).

კასტელსი არ იზღუდება მხოლოდ ქსელური დაწესებულების ანალიზით და შემდეგ ამტკიცებს, რომ „ინფორმაციულ ეპოქაში გაბატონებული ფუნქციები და პროცესები უფრო მეტად თავს იყრიან ქსელების, როგორც „ურთიერთდაკავშირებული კვანძების“ ირგვლივ. ქსელები ღიაა და უნარი აქვთ განუსაზღვრელად გაფართოვდნენ, დინამიურები არიან და შეუძლიათ განახლება სისტემის რღვევის გარეშე. მაგრამ ის, რომ ჩვენი ეპოქა ქსელებით განისაზღვრება არ ნიშნავს კაპიტალიზმის დასასრულს. არსებითად, ყოველ შემთხვევაში, ამ წუთისათვის, ქსელები პირველად აძლევენ კაპიტალიზმს შესაძლებლობას ფინანსურ ნაკადებზე დაყრდნობით გახდეს ნამდვილად გლობალური და ორგანიზებული, რომლის მაგალითია, ხშირი საუბრის ობიექტები, „გლობალური ფინანსური კაზინოები“ – ქსელისა და ინფორმაციული სისტემის მშვენიერი მაგალითი. ფულს, რომელიც აქ ტრიალებს დღეს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე წარმოების პროცესში გამოიმუშავებულს. ფული გამოეყო წარმოებას. ჩვენ ვცხოვრობთ კაპიტალისტურ ეპოქაში, რომელსაც ახასიათებს ფულისადმი დაუსრულებელი სწრაფვა (კასტელსი, 2000).

კასტელსის თვალსაზრისით ახალ სამყაროში მისი ეკონომიკის გლობალიზაციითა და კაპიტალის გლობალური ბაზრების დამოკიდებულებით სახელმწიფო ნაკლებად ძლიერი ხდება. ამგვარად, მაგალითად, სახელმწიფო ვერ დაიცავს თავის სოციალურ პროგრამებს, რადგანაც მსოფლიოში არსებული დისბალანსი მოგვცემს იმას, რომ კაპიტალი წავა იმ ქვეყნებისაკენ, სადაც სოციალურ პროგრამებზე დაბალი დანახარჯებია. სახელმწიფოს სიძლიერეს არღვევს აგრეთვე გლობალური კომუნიკაციები, რომლების თავისუფლად გადაედინებიან ერთი ქვეყნიდან მეორეში. გარდა ამისა შეიმჩნევა გლობალური დანაშაულებანი და გლობალური ქსელების შექმნა, რომელიც არ ექვემდებარებიან რომელიმე ქვეყნის კონტროლს. სახელმწიფო სუსტდება აგრეთვე მრავალმხრივი, სუპერსახელმწიფოების გაჩენით, როგორც ევროპული კავშირია, და შინაგანი ქვედანაყოფებით. მიუხედავად იმისა, რომ ისინი კვლავ არსებობენ კასტელსს მიაჩნია, რომ სახელმწიფო გადაიქცა ძალაუფლების უფრო ფართო ქსელის კვანძებად. (კასტელსი, 2000).

დილემა რომელიც დადგება სახელმწიფოს წინაშე მდგამარეობს, იმაში რომ, თუ ის წარმოადგენს საკუთარ ხალხს ის იქნება ნაკლებად ეფექტური გლობალურ

სისტემაში, მაგრამ თუ ის აქცენტს გააკეთებს ამ უკანასკნელზე, მაშინ ვერ შეძლებს ადექვატურად გამოხატოს საკუთარი ხალხის ინტერესები. სახელმწიფოს კრახის მაგალითად შეიძლება ავიღოთ საბჭოთა კავშირი. ის ვერ შეეწყო ახალ ინფორმაციონალიზმს და ქსელების სამყაროს. მაგალითად, საბჭოთა სახელმწიფოში მონოპოლიზირებული იყო ინფორმაცია, მაგრამ ეს შეუთავსებელია სამყაროსთან, სადაც წარმატებები მიბმულია ინფორმაციის თავისუფალ ნაკადზე. საბჭოთა კავშირის დაშლით სახელმწიფო ადვილი ლუკმა გახდა გლობალური კრიმინალური ელემენტებისათვის. ბედის ირონიით გლობალური ინფორმაციული საზოგადოების გარეთ მდგარი რუსეთი დღეს მნიშვნელოვანწილად ჩათრეულია გლობალურ დამნაშევეობაში (კასტელსი, 2000).

იგი აღნიშნავს ტრანსნაციონალური კორპორაციების არსებობას ქსელურ საზოგადოებაში, მაგრამ მიიჩნევს, რომ იგი ემუქრება ამ გიგანტებს ისევე, როგორც ყველა დანარჩენსაც და თუ ისინი არ შეიცვლებიან, მაშინ დაიღუპებიან, სხვაგვარად, რომ ვთქვათ მათი დაღუპვის რისკი ძალიან დიდია. მაშასადამე, ამტკიცებს კასტელსი, ტრანსნაციონალური კორპორაციები იმდენად დეზინტეგრირებულნი უნდა იქნენ ვერტიკალურად, რომ შეიძლოს “ჰორიზონტალურ კორპორაციებად ტრანსფორმირება.” რამდენადაც ქსელურ საზოგადოებაში, ამბობს ის, ყველაფერი გლობალური ბაზრის მოთხოვნებზე პასუხის სისწრაფესა და ადაპტაციურობაზე არის დამოკიდებული, მაშასადამე ქსელი მასში ყველაფერზე მნიშვნელოვანი ყოფილა. თუმცა ფორმალურად აგებულ კორპორაციას შეუძლია მიაწოდოს ბაზარს პროდუქცია და მომსახურეობა მისაღებ ფასსა და ზუსტ ვადებში, ეს მაინც ნიშნავს, რომ კომპანიების შიგნით და გარეთ ქსელები მუდმივად იქმნებიან და გარდაიქმნებიან. ე.ი. ჩვენ “კორპორაციების ქსელებად გარდაქმნის” მოწმენი ვხვდებით, რომლებშიც სტრატეგიული კავშირები იკვრება და იშლება კონკრეტული გარემოებებისა და მონაწილეების შესაბამისად, ხოლო წარმატების რეცეპტს კი წარმოადგენს ის, რასაც Toyota-ს მენეჯმენტი ხუთი ნულის პრინციპებს უწოდებს (კასტელსი, 2000).

თუ ტრანსნაციონალური კომპანიები აგრძელებენ არსებობას, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი ძირფესვიანად შეიცვალნენ და ტრანსფორმაცია განიცადეს. წარსულს ჩაბარდნენ გლობალური იმპერიები, რომელთა მოქმედებებიც მეტროპოლიის ერთი



ცენტრიდან იგეგმებოდა და წარიმართებოდა. ინფორმაციულ ეკონომიკაში “დიდ კორპორაციას. . . უკვე აღარ შეუძლია და მეტად ვერც ვერასდროს შეძლებს ჩაკეტილი და თვითკმარი დარჩეს.” ახლა მან უფლებამოსილება ქსელურ ორგანიზაციულ ერთეულებს უნდა დაუთმოს “რომლებიც თვითპროგრამირებადი, თვითმართველი წარმონაქმნებია და რომელთა საფუძველსაც დეცენტრალიზაციის, მონაწილეობისა და კოორდინაციის პრინციპები შეადგენს” (კასტელსი, 2000, გვ. 163). ამგვარად, „კონკურენციის გლობალიზაცია დიდ კორპორაციას განსხვავებული მიმართულებების მქონე ქსელთა აბლაბუდად აქცევს” (კასტელსი, 2000, გვ.193).

კასტელსი გვთავაზობს იმას, რასაც იგი ინფორმაციონალიზმის სულისკვეთებას, გონს უწოდებს. აქ ის მაქს ვებერის ცნობილ პოსტულატს ეყრდნობა, რომელიც კალვინიზმის კაპიტალიზმთან „შერჩევით\_გამორჩევით ნათესაობას“ – „პროტესტანტული ეთიკის” „კაპიტალიზმის სულისკვეთებასთან, გონთან” შერწყმასა და შედუღებას უშვებს და გვთავაზობს შედარებად ფაქტორს, რომელიც ჩვენს დროში მოქმედებს. “კაპიტალიზმი ძველებურად არსებობს, მაგრამ ახალ, პრინციპულად მოდიფიცირებულ ფორმებში” (კასტელსი, 1996, გვ.198), რომლის ძირითად ღერძს “ინფორმაციონალიზმის გონი (სულისკვეთება)” წარმოადგენს. “ინფორმაციონალიზმის ამ სულს (გონს) კასტელსი კიბერსივრცის მოთამაშეთა სახეების მეშვეობით აღწერს, რომლებიც ადვილად და თავისუფლად უცვლიან ერთმანეთს ინფორმაციებს, აქვთ კარგი კონტაქტი ერთმანეთს შორის და იმდენად ეფექტურად არიან შეერთებულნი ქსელში, რომ ძალუბთ თანამედროვეობის მოთხოვნებს გაუსწრონ. კასტელსი შეძრულია “შემოქმედებითი დესტრუქციის” ტალღების მეშვეობით ქსელში მიღებული გადაწყვეტილებების უნარით ძირეული გავლენა მოახდინოს ადამიანებსა და ხდომილებებზე მთელ მსოფლიოში. და, მაშასადამე, მიაჩნია მას, წარმოიშვება პიროვნების ახალი ტიპი, რამდენადაც ის, ვინც ასეთ გადაწყვეტილებებს იღებს, არ არის ანგარიშვალდებული თავიანთი დამჭირავებლების წინაშე, მაგრამ მუდამ ღია არიან იმათთვის, ვინც ქსელურ ტალანტს ფლობენ. ამიტომ არ არის გასაკვირი, როდესაც ახალი სიტუაციის დახასიათებისას, კასტელსი ასე აღწერს მას: „შუმპეტერი ხვდება ვებერს ქსელური წარმოების კიბერსივრცეში”, აყენებს ერთად სახელებს, რომლებიც სწრაფი

ცვლილებების, შემოქმედებითობისა და პირადი ინიციატივის მაგარ ნარევს გვთავაზობენ (კასტელსი, 1996).

კასტელსი შრომით პრაქტიკასა და დასაქმებულობის მოდელებში არსებულ ცვლილებებს დიდ ყურადღებას უთმობს. სტატისტიკისა და დეფინიციის სფეროში გრძელი და ხანგრძლივი ექსკურსიდან აკეთებს დასკვნას: ინფორმაციული შრომის რაოდენობა საზოგადოებაში გაიზარდა; მას მთლიანობაში მეტი კმაყოფილება მოაქვს, ვიდრე შრომით საქმიანობას, რომელიც წარსულში იყო მისაწვდომი. ეს სამუშაოები უფრო ინდივიდუალიზებული ხასიათისაა ვიდრე ადრე იყო, ხოლო, ქსელურ საზოგადოებაში მომხდარი ცვლილებები, ნიშნავს: ადამიანი საჭიროა შეეგუოს უფრო სწორად შეეჩვიოს მოქნილობას იმაშიც, რასაც ის დღეს აკეთებს და იმაშიც, რის გაკეთებასაც იგი მომავალში აპირებს, თუ მას სურს ინფორმაციული კაპიტალიზმის “სისტემურ მოქნილობაში” გადარჩეს. (კასტელსი, 1996).

კასტელსის აზრით, ახალი ქსელური საზოგადოება უკუაგდებს სტრატეგიკაციის ადრინდელ ფორმებს და წარმოქმნის თანავე უთანასწორობის ახალი ფორმები მოაქვს. ჩვენ უკვე ვიცით კასტელსის თვალსაზრისი ჰორიზონტალური კორპორაციის განვითარების თაობაზე, რომელიც ბიუროკრატისათვის კარგს არაფერს მოასწავებს, მაგრამ იმათ ძალებს კი ავითარებს, ვინც ბიუროკრატის მიღმა დგანან. ასევე აღვნიშნეთ, რომ კასტელსის აზრით, ინფორმაციულმა ეპოქამ გლობალური მასშტაბით დაბადა სისტემური კაპიტალიზმი, რომელშიც კაპიტალისტების კლასი არ არსებობს. ღირს უფრო დაწვრილებით შევჩერდეთ სტრატეგიკაციის შესახებ ინფორმაციულ კაპიტალიზმში, ვინაიდან მისი გამოვლინებები რთული, ხოლო შედეგები კი არაერთმნიშვნელოვანია. სტრატეგიკაციის ახალი ფორმების გაჩენასთან ერთად, ხდება ცვლილებები ძალაუფლებრივ ურთიერთობებში, რესურსების განაწილებასა და მომავლის პერსპექტივებში. სტრატეგიკაციის ახალი ფორმების გაჩენასთან ერთად, ძალაუფლებრივ ურთიერთობებში, რესურსების განაწილებასა და მომავლის პერსპექტივებში ცვლილებები ხდება. უფრო მეტიც, შრომასა და კაპიტალს შორის გამყოფი ხაზი, რომელიც მე-20 ს-ის ბოლო წლებამდეც კი პოლიტიკური ურთიერთობების საფუძველი იყო, როგორც ჩანს ქრება (კასტელსი, 1996).

ტრადიციული მუშათა კლასის დასასრული, როგორც კასტელსი ფიქრობს, ორი ურთიერთდაკავშირებული მიზეზისა გამო დადგება. პირველი, ეს კლასი, რომელიც დედს დაც პოლიტიკური მოძრაობის სული და გული, ანუ ძირითადი მიზეზი იყო, ახლა რაოდენობაში მკვეთრად მცირდება და მას ანაცვლებს ის სამუშაო ძალა, რომელიც არაფიზიკურ შრომას ასრულებს, უწინარეს ყოვლისა ქალთა შრომა. მეორე, მისი წვლილი საზოგადოებაში უკუიკვდება: ღირებულების შრომითი თეორიის იცვლება ინფორმაციით (ცოდნით) შექმნილი ღირებულების თეორიით. კასტელსის სიტყვებით,

ცოდნა და ინფორმაცია თანამედროვე საწარმოო პროცესების მთავარ ნედლეულად იქცნენ, განათლება კი შრომის ძირითადი თვისებრივი მაჩვენებელი გახდა, ამიტომ ინფორმაციონალურ კაპიტალიზმში ახალი მწარმოებლები ცოდნის ის გენერატორები და ინფორმაციის ის დამამუშავებელი არიან, რომელთა წვლილიც ეკონომიკაში ყველაზე მნიშვნელოვანია (კასტელსი, 1997).

ახალ მსოფლიოში ინფორმაციონალური შრომა ღირებულების ძირითადი მწარმოებელი ხდება, მაშინ როდესაც მუშათა კლასი ეცემა, რამდენადაც სწრაფი ცვლილებების უნარს კარგავს და არ ძალუძს ტემპის შენარჩუნება. მოკლედ, რომ ვთქვათ, მას აკლია მოქნილობა (ფლექსიბილურობა). ყოველივე ამის შედეგია ის, რომ პოლიტიკა გვერდს უვლის კლასს, რომელიც საბოლოოდ გაიხლართა ეროვნული სახელმწიფოების ნაპრალებში და ისეთ სოციალურ მოძრაობებს მიმართავს, როგორებიცაა ფემინისტური, ეთნიკური და ეკოლოგიური. ამგვარი მოძრაობები გაცილებით ფართოა, ვიდრე ტრადიციული კლასობრივი, ისინი აპელირებას თავიანთი მომხრეების ცხოვრების განსხვავებულ წესებსა და ღირებულებებზე ახდენენ. ისინი ასევე ღრმად არიან განმსჭვალულნი ამა თუ იმ ტიპის ინფორმაციონალური შრომით. გავიხსენოთ, მაგალითად, “საერთაშორისო ამნისტია”, “გრინპისი”, ან “მიწის მეგობრები”. თითოეულ ამ მოძრაობას გლობალური ქსელები, კომპიუტერიზებული საწევრო სიები აქვს და განათლებული, მეცნიერულად მომზადებული, მედიატექნოლოგიებს დაუფლებული თანამშრომლები და მომხრეები ჰყავს. (კასტელსი, 2000).

ბოლოს ჩვენ გვრჩება ინფორმაციული კაპიტალიზმისათვის გამოუსადეგარი და გაუნათლებელი ადამიანები, რომლებსაც კასტელსი "მეოთხე მსოფლიოს" მიაკუთვნებს და და რომლებისთვისაც არანაირი როლები არ რჩება, იმიტომ, რომ მათ არ აქვთ ისეთი რესურსები და ჩვევები, რომლებიც გლობალიზებულ კაპიტალიზმს დასჭირდებოდა, ანუ რომლებზეც მოთხოვნა იქნებოდა. აქ კასტელსი აშშ – ში ქალაქურ სიღატაკეს იხსენებს, ანუ იმ დეკლასირებულთ, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური სისტემის ცენტრად ქცეული ინფორმაციონალური მუშაკების გვერდი – გვერდ ცხოვრობენ და სწორედ ამ ინფორმაციონალურ მუშაკებს ემსახურებიან ღარიბები, ხშირად შეურაცხყოფელ პირობებში, ოფიცინტების, ძიძების, შვეიცარებისა თუ მოსამსახურეთა სახით. კასტელსი შიშობს, რომ "საერთო – ზოგადი ტიპის შრომა" შეიძლება ხანგრძლივ პერსპექტივაში დეკლასირებულ ელემენტებს შეერწყას, თუ მუშათა კლასი საკმარის მოქნილობას ვერ გამოიჩენს, რათა ახალი ეკონომიკის მოთხოვნები დააკმაყოფილოს. (კასტელსი, 1996).

ასეთი ადამიანებისათვის კონკრეტული სპეციალიზაცია ნაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ადაპტაციის უნარი. ასეთი ადამიანები თვითპროგრამირებადია, რომელთაც აუცილებლობის შესაბამისად ძალუძთ ახალი ვითარებების შესატყვისად განისწავლონ და გადაემზადონ. ყოველივე ეს, მათ სწრაფად ცვალებად და ძლიერად "მოქნილ" სამყაროში, უმაღლეს დონეზე მორგებულ და სიცოცხლის უნარის მქონე პროფესიონალებად აქცევს. ის დრო გაქრა, როდესაც ადამიანს უზრუნველყოფილი, მყარი და გარანტირებული სამუსაო ჰქონდა ბიუროკრატიულ აპარატში; დღეს კი დროებით ანუ კონტრაქტის ძალით, შესასრულებელი პროექტის ვადების შესაბამისად მუშაობს. მრავალ ადამიანს ეს აშინებს. თუმცა ინფორმაციონალურ მუშაკებს არაფრის ეშინიათ, რამდენადაც მათ თავიანთი "პორტფოლიოს" – სადაც პროექტებში მათი მონაწილეობის შესახებ მონაცემებია შეტანილი – დახმარებით ახალი ვაკანსიების დაკავება ძალუძთ. ისეთი ძველი ფასეულობები, ღირებულებები, როგორცაა, მაგალითად, კომპანიისადმი ერთგულება, თანდათან გამოდის ხმარებიდან. ეს ახალი მომთაბარენი სიამოვნებით გადადიან პროექტიდან პროექტზე, არა კორპორაციული ბიუროკრატიის იმედით, არამედ თავიანთი ქსელური კონტაქტების წყალობით. ისინი გარანტიებს არ ეძებენ, მათ უხარიათ, როდესაც საკუთარი ძალების გამოვლენისა და თავიანთი საქმიანობის სფეროში უმაღლესი

მწვერვალების დაპყრობის შესაძლებლობა ეძლევათ. რასაკვირველია, დროის რაღაც მონაკვეთში ისინი მუშაობენ ამა თუ იმ კომპანიაში, მაგრამ არ არიან მათზე ემოციურად მიჯაჭვულნი: დაასრულეს რა პროექტი, ისინი სინანულის გარეშე ტოვებენ მას. წარმოიდგინეთ დამოუკიდებელი ჟურნალისტი, რომელიც საინტერესო რეპორტაჟს აკეთებს: პროგრამისტი, რომელიც პროგრამული უზრუნველყოფის იმ ელემენტითაა დაკავებული, რომელიც მისი სამუშაოს შემადგენელი ნაწილია და მთელ მსოფლიოში ასობით თანამოაზრესთანაა დაკავშირებული. პროფესორი, რომლისთვისაც პირველ რიგში კოლეგების მიერ მოცემული შეფასებაა მთავარი და არა უნივერსიტეტის ადმინისტრაციის (კასტელსი, 2000).

მოკლედ მეცნიერები, რომლებიც ინფორმაციული საზოგადოების განსაზღვრებას ცდილობენ ყოველთვის წერენ საინფორმაციო საზოგადოების გამორჩეულობაზე, განსაკუთრებულობაზე, თუმცა მათი ოპერაციული კრიტერიუმები გაურკვეველი რჩება. ცდილობენ რა გააცნობიერონ ცვლილებათა მნიშვნელობა ინფორმაციაში, ისინი ცდილობენ განსაზღვრონ ეს ცვლილებები ეკონომიკური წარმოების განსხვავებული ფორმების ტერმინებში, სოციალური ზემოქმედების ახალ ფორმებში, წარმოების ინოვაციურ პროცესებში და ა.შ. თუმცა მათ ვერ ძალუბთ დაადგინონ როგორ დაიკავა დღეს ინფორმაციამ ცენტრალური ადგილი საზოგადოებაში ისე რომ იგი იქცა ახლი ტიპის საზოგადოებას ჩამოყალიბების ფაქტორად. მაინც რა არის ინფორმაცია? რატომ თვლის მეცნიერთა ნაწილი რომ ინფორმაცია წარმოადგენს ჩვენი დროის მთავარ პრობლემას.

შეგვიძლია გამოვყოთ ინფორმაციული საზოგადოების ხუთი განსაზღვრება.

- ტექნოლოგიური
- ეკონომიური
- დასაქმების სფეროსთან დაკავშირებული
- სივრცული
- კულტურული (უებსტერი, 1995).

რაც შეეხება დენიელ ბელს, იგი ანტიჰოლისტია, ის კვლავ და კვლავ იმეორებს, რომ საზოგადოება არ არის „იმდენად ორგანული ან ინტეგრირებული, რომ შესაძლებელი

იყოს მისი გაანალიზება, როგორც ერთიანი სისტემის“. ის გადაწყვეტით უარყოფს ყველა ტოტალურ, ჰოლისტურ თეორიას საზოგადოების შესახებ, რომლებიც ამტკიცებენ, რომ კაპიტალიზმი ყველა საზოგადოების ცხოვრებაშია და მოწყვეტილი არიან კონსერვატიულ პოზიციას, საზოგადოების ფუნქციად თვლიან ინტეგრირებას, რაც ხელს უწყობს წესრიგსა და წონასწორობას (ბელი, 2001).

ამის საპირისპიროდ, ბელი თანამედროვე საზოგადოებას სამი სფეროს მიმართ განიხილავს- სოციალური სტრუქტურა, პოლიტიკა და კულტურა. საკითხის ასე დაყენების წინაშე ისმება კითხვა, რატომ ხდება საზოგადოების განაწილება მხოლოდ სამ სფეროზე? ამის მიზეზია ის, რომ დასმული საკითხი ბელის თეორიის მთავარი, ძირითადი ქვაკუთხედი.

პირველ რიგში, ამით გამოთქვამს საწინააღმდეგო აზრს. მრავალგზის გამეორებულია ბელის განცხადება – “მე კონსერვატორი ვარ კულტურაში, სოციალისტი ეკონომიკაში, ლიბერალი პოლიტიკაში,” ეს ემყარება მის რწმენას, რომ არსებობს სამი განცალკევებული დარგი, რომლებშიც ადამიანს გააჩნია განსხვავებული შეხედულებები.

ასევე, ასეთი რადიკალური განცალკევება სხვადასხვა სფეროებში, საშუალებას აძლევს ბელს თავი აარიდოს უხერხულ კითხვებს, იმაზე თუ რა დონის ცვლილებაა ერთ სფეროში მეორე სფეროზე გავლენის აღმოჩენის შემთხვევაში, მაგრამ ბელი ამტკიცებს, რომ მას აინტერესებს ცალკეული სფეროები და რომ ცალკე მყოფი სამი სფერო დამოუკიდებელია ერთმანეთისგან, ამდენად, ბელი არ პასუხობს კითხვებს სფეროების ურთიერთობისა და კავშირის შესახებ და კვლავ უბრუნდება საკუთარი თეორიის ამოსავალ საკითხებს. (ბელი, 2001).

ბელის თეორიის ამოსავალია, რომ სოციალური სტრუქტურა რადიკალურად განცალკევებულია პოლიტიკისგან. მთავარია, რომ პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოება წარმოიქმნა მხოლოდ სოციალურ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების გამო, რომელიც ჩართულია ეკონომიკაში, სტრატეგიკაციის სისტემაში, მაგრამ არაა კავშირში პოლიტიკასა და კულტურასთან. ბელი შრომით საქმიანობას განსაზღვრავს საზოგადოებებში და მიიჩნევს, რომ ინდუსტრიამდელ საზოგადოებაში ჭარბობდა სასოფლო – სამეურნეო საქმიანობა,

ინდუსტრიულში გავრცელებული იყო მანუფაქტურული შრომა და პოსტინდუსტრიალ საზოგადოებაში მთავარ როლს თამაშობს მომსახურების სფერო. ინდუსტრიულ საზოგადოებაში იზრდება წარმოება, საწარმოო ტექნიკა, ინდუსტრიალიზაცია შეიძლება დახასიათდეს, როგორც მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მუდმივი განვითარების პროცესი. აქიდან ჩნდება რკინის ლოგიკა-დიდი რაოდენობის პროდუქცია წარმოებულია მცირე რაოდენობის მუშების მიერ. წარმოების ზრდა, სამრეწველო ნამატი საზოგადოებას აძლევს წარმოუდგენელი ფუფუნების საშუალებას. ინდუსტრიული კეთილდღეობის მიღწევები ქმნის მომსახურების სფეროს, პროფესიებს, მიზნად ისახავენ წარმოქმნილი მოთხოვნების დაკმაყოფილებას. ამ პროცესის განვითარების შემთხვევაში ჩვენ დავრწმუნდებით შემდეგში:

1. მუშების რიცხვი, დაკავებულობა მრეწველობაში, იკლებს ასეთი დონე და სულ უფრო ცოტა ერთვება ამ სფეროში;
2. ხდება უზრუნველყოფა წარმოების რაციონალიზაციის;
3. წარმოების ზრდა მრეწველობაში ზრდის სიმდიდრეს, რის საფუძველზეც ჩნდება ახალი მოთხოვნები და მათი დაკმაყოფილების საჭიროება;
4. მიდის მუდმივი პროცესი ხალხის მრეწველობაში ჩაბმულობის;
5. დაუსრულებლად იქმნება ახალი სამუშაო ადგილები მომსახურების სფეროში, მიზნად დასახულია ახალი მოთხოვნებისა და საჭიროებების დაკმაყოფილება, რომელიც იზრდება სიმდიდრის ზრდასთან კავშირში. (ბელი, 2001).

შეიძლება აღინიშნოს, რომ კეთილდღეობის მყარ ზრდას მოყვა შრომის დომინირება მომსახურების სფეროში. ბელი აქცენტს აკეთებს ადამიანების ცხოვრების წესზე სხვადასხვა ეპოქებში. ინდუსტრიალურ საზოგადოებაში მთავარი იყო ფიზიკური ძალა, ინდუსტრიულში ტექნიკისა და რაციონალიზაციის საზოგადოებაში წამყვანი იყო მანქანა. ამ ორი ეპოქისგან განსხვავებით პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მთავარ როლს თამაშობს არა ძალა და ენერჯია, არამედ ინფორმაცია. სხვა სიტყვებით, ადამიანი საკუთარ არსებობას უზრუნველყოფს მიწის დამუშავებით და ტრადიციისა და ფიზიკური ძალის შენარჩუნებით (ინდუსტრიალური ეპოქა), მოგვიანებით ადამიანი საკუთარ მოთხოვნებსპასუხობს მანქანური წარმოებით (ინდუსტრიული

ეპოქა), შემდეგ კი იქმნება მომსახურების საზოგადოება (პოსტმოდერნული საზოგადოება), რომლის შრომის საგანსწარმოადგენს ინფორმაცია. საბოლოო ჯამში, “ურთიერთქმედება ადამიანებს შორის” არის ისეთი ურთიერთქმედება, რომლისთვისაც საბაზისო რესურსებს წარმოადგენს ინფორმაცია. სამუშაო მომსახურების სფეროში არის ინფორმაციული სამუშაო და ჩნდება ინფორმაციული სამუშაო (ბელი, 1997).

ბელი აღწერს პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. პირველ რიგში, ინფორმაციულ მოღვაწეობას მოაქვს საზოგადოებაში არსებული მოთხოვნების დაკმაყოფილება, მეორე, მომსახურების სექტორში მნიშვნელოვანი საკითხია პროფესიული მუშაობა, რომელშიც როგორც ბელი ამტკიცებს 1980-იანი წლების ბოლოს მთელი სამუშაო ძალის 30% იყო დაკავებული, ეს ნიშნავს, რომ პოსტინდუსტრიულ ინფორმაციულ საზოგადოებაში ცენტრალური ხდება სპეციალისტის, პროფესიონალის მუშაობა და არსებობა. მესამე, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი საკითხი ხდება პროფესიული ტექნიკური მომსახურება და მეოთხე, ეს პრინციპები ხდება განსაკუთრებული, “გადაწყვეტილი” ამ საზოგადოების მომსახურების სეგმენტში. მაღალი პროფესიული სამუშაო, ინტელექტუალების მაღალი როლი, მაღალი კვალიფიკაციის მნიშვნელობა უშუალო კავშირშია საზოგადოებასთან. ეს ყველაფერი წინ სწევს ცოდნისა და ინფორმაციის როლს. პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში, მომსახურების სფეროში, სპეციალისტისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება კლიენტის მოთხოვნები (ბელი, 1997).

ბელის აზრით, კლასიკურ მომსახურეობას განეკუთვნება, რადგან არ აწარმოებს, მაგრამ რესურსებს კი მოიხმარს, სწრაფად იზრდება საზოგადოების მოთხოვნების ზრდის შედეგად, პირველ რიგში სამუშაო ძალის სისტემატიზაციის და სწავლების, კვლევით საქმიანობაში მუშაკების მოზიდვის საზოგადოებრივი მოთხოვნილებების შედეგად, რათა მენეჯმენტის ნაყოფიერების და ეფექტურობის ზრდა, აგრეთვე კორპორაციებში სამუშაოდ ინჟინრებისა და ჰუმანიტარების აუცილებელი რაოდენობა უზრუნველყოს. (ბელი, 2001).

რა თქმა უნდა, ფაქტია: ჩვენ ვცხოვრობთ სამყაროში, სადაც გაიზარდა ინფორმაციის რაოდენობა და მასთან დაკავშირებული საქმიანობაც, რომელიც წარმოებისა და



შრომის ორგანიზაციის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. რა კუთხითაც არ უნდა შევხედოთ ამ პრობლემას, ინფორმაციის როლი მნიშვნელოვნად გაიზარდა. სრულიად ნათელია, რომ სოციოლოგები ცდილობენ ცვლილებები გათვალონ და ახსნან. და აქ ჩვენ მივდივართ დასკვნამდე, რომ ის არ შეიძლება ბელის “პოსტინდუსტრიულ” ტერმინებში იყოს ინტერპრეტირებული. მას არ გამოსდის მყარად დააფუძნოს პოსტინდუსტრიული ინფორმაციული საზოგადოებისა სახელი. და თუ ჩვენ გვინდა გავიგოთ ინფორმაციის შინაარსი და მისი გავრცელების არეალი, მაშინ ჩვენ პასუხის მოძიება სადმე სხვაგან მოგვიწევს (ბელი, 1997).

საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მთელს მსოფლიოში. იგი საშუალებას აძლევს მონაწილე ქვეყნებს, შეადარონ მოსწავლეთა მიღწევების დონე საერთაშორისო სტანდარტებს, გაანალიზონ თუ რა ზეგავლენას ახდენს სხვადასხვა საგანმანათლებლო სისტემაში არსებული პოლიტიკა, სასწავლო გეგმები, სწავლების მეთოდები თუ საგანმანათლებლო რესურსები მოსწავლეთა მიღწევებზე. აგრეთვე, ავლენს ამა თუ იმ ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ ხარვეზებს. სწორედ ამ საკითხებზე მუშაობს საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც 1959 წლიდან მსოფლიოს 70-მდე ქვეყანაში აწარმოებს კვლევებს.

PIRLS-ი (Progress in International Reading Literacy Study) წიგნიერების საერთაშორისო კვლევაა, რომელიც მიზნად ისახავს, შეაფასოს 9-10 წლის მოზარდების წაკითხულის გააზრების უნარი. ეს მნიშვნელოვანი ასაკია, რადგან ამ დროს უკვე ჩამოყალიბებულია კითხვის უნარი. ამ უნარის შემოწმება გულისხმობს იმის გარკვევას, რამდენად წარმატებით შეძლებს მოსწავლე დაძლიოს მაღალი კლასების სასწავლო პროგრამა.

PIRLS-ი საქართველოში სამჯერ ჩატარდა და მიზნად ისახავს შეაფასოს 9-10 წლის მოზარდების წაკითხულის გააზრების უნარი და ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა წიგნიერებაზე. 2006 და 2011 წლებში ქართველმა მოსწავლეებმა არცთუ ისე კარგი შედეგები აჩვენეს. მსოფლიოს 45 ქვეყანას შორის, ქართველ ბავშვებს წიგნიერების საშუალო მაჩვენებელი-488 მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სკალირებულ მაჩვენებლებს(500). 2011 წლის კვლევამ აჩვენა, რომ 2006

წელთან შედარებით, წიგნიერებაში ქართველი მოსწავლეების მიღწევები უმნიშვნელოდ, მხოლოდ 17 ქულით გაუმჯობესდა. ქართველ ბავშვებს მხატვრული ტექსტების გააზრებაში უფრო კარგი მაჩვენებლები აქვთ, ვიდრე საინფორმაციო ტექსტების გააზრებაში. PIRLS 2011 ში, ისევე როგორც PIRLS 2006 ში გოგონებს კითხვაში უკეთესი შედეგები აქვთ, ვიდრე ბიჭებს. მსგავსი შედეგები ფიქსირდება თითქმის ყველა მონაწილე ქვეყანაში. საქართველოში საუკეთესო შედეგები ფიქსირდება თბილისში. რეგიონებს შორის კი საუკეთესო შედეგები აქვთ იმერეთის რეგიონის მოსწავლეებს. წარმატებულ სკოლებს უკეთესი რესურსები აქვთ და რაც უფრო მეტი რესურსი აქვს სკოლას, მით მეტია მოსწავლეთა მიღწევები. PIRLS 2011-ის მიხედვით რაც უფრო ნაკლები მოსწავლეა სკოლაში ეკონომიკურად ხელმოკლე ოჯახიდან, მით უფრო მაღალია მოსწავლეთა მიღწევები. ეს ტენდენცია ვლინდება საქართველოში (წიგნიერების საერთაშორისო კვლევა, 2011).

2016 წელს კვლევაში მონაწილეობდა 60 ქვეყანა და კვლევას დაემატა ახალი კომპიუტერიზებული კომპონენტი ePIRLS. იგი ინტერნეტში მოცემული ინფორმაციის მიღებისა და მიღებული ინფორმაციის გააზრების შეფასებაა. აპეციალურად ამ შეფასებისათვის შექმნილი პროგრამა შეფასების პროცესში მოსწავლეს სიმულირებულ ინტერნეტ გარემოში მოაქცევს. წიგნიერების საერთაშორისო კვლევაში მონაწილე ყველა მოსწავლე ePIRLS-ის კომპონენტშიც იყო ჩართული. ეს სასუალებას იძლევა შეფასდეს, თუ რამდენად ეფექტიანად შეუძლიათ მოსწავლეებს ინტერნეტში მოცემული ინფორმაციის გამოყენება სწავლისა და განვითარებისათვის, განსხვავდებიან თუ არა ერთმანეთისაგან ინტერნეტსა თუ ტრადიციულ ფორმატში მოცემული ტექსტების კითხვის უნარების ფლობის მხრივ და სხვა. ამ კვლევის მიზანია ინტერნეტის მოხმარების დონის შესწავლა. კვლევაში მონაწილეობდა 200 სკოლა, 6000-მდე მოსწავლე. 2016 წლის კვლევაში პირველად ჩაერთვნენ აზერბაიჯანულენოვანი სკოლები. ტექსტების გააზრება უმაღლეს დონეზე ანუ ტექსტის წაკითხვა, გააზრება და გაანალიზება, საქართველოში მოსწავლეთა მხოლოდ 2%-ს შეუძლია, მაღალ საფეხურზე გააზრება შეუძლია მოსწავლეთა 22%-ს, საშუალო საფეხურზე-36%, დაბალ საფეხურზე 26%, კრიტიკული ზღვარი-14%, ეს არის ის ბავშვები, რომლებიც მინიმალურ დონეზეც ვერ ახერხებენ წაკითხულის გააზრებას. (წიგნიერების საერთაშორისო კვლევა, 2016).

საერთაშორისო კვლევები მნიშვნელოვანია, აღსანიშნავია, მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA, რომელიც მოსწავლეებს სამ წელიწადში ერთხელ აფასებს წიგნიერებაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებაში. კვლევის მიზანია დაადგინოს, რამდენად კარგად ამზადებს მოზარდებს მონაწილე ქვეყნების ზოგადსაგანმანათლებლო სისტემა იმ გამოწვევებისათვის, რომლებსაც ისინი სკოლის დასრულების შემდეგ უნდა გაუმკლავდნენ. საქართველო კვლევაში 2009 წელს ჩაერთო. თუმცა, გარკვეული პერიოდით საქართველომ უარი თქვა კვლევაში მონაწილეობაზე, რომელიც 2012 წელს უნდა ჩატარებულიყო. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის OECD მიერ განათლების, როგორც ეკონომიკური განვითარებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის კვლევაზე მუშაობა 1997 წელს დაიწყო და კვლევის პირველი ციკლი 2000 წელს განხორციელდა, მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა PISA-ში მონაწილეობას იღებენ როგორც ორგანიზაციის წევრი მაღალგანვითარებული ქვეყნები, ისე პარტნიორი ქვეყნები და ადმინისტრაციული ერთეულები. PISA ცოდნის, უნარების და დამოკიდებულებების შეფასების ფართო მიდგომას იყენებს. ტესტირება გამიზნულია 15 წლის მოსწავლეებისათვის. კვლევის უპირველესი მიზანია განისაზღვროს, რა დონეზე ფლობენ მოსწავლეები იმ ცოდნას რომელიც მათ მაშინ დასჭირდებათ, როდესაც ზრდასრულ ასაკში დასჭირდებათ. ასეთი ზოგადი მიდგომის ძირითადი მიზეზი შემდეგში მდგომარეობს:

- მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანია საგნობრივი ცოდნა, ამ ცოდნის ზრდასრულობაში გამოყება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ფლობს მოსწავლე უფრო ფართო კონცეფციებსა და უნარებს. მაგალითად, წიგნიერებაში მნიშვნელოვანია წაკითხვის შემდგომ მისი ინტერპრეტაცია.
- ზოგადი განათლების კვალდაკვალ აუცლებელია მოსწავლეებს განუვითარდეს ისეთი უნარები, როგორცაა: კომუნიკაცია, მოქნილობა, ადაპტაცია, საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება.

2009 წელს კვლევის ძირითად ინსტრუმენტად ე.წ. „ქალაქისა და ფანქრის ტესტის“ მეთოდი გამოიყენებოდა. ტესტირება დაახლოებით 2 საათს გრძელდებოდა, მოსწავლეები ამის გარდა ავსებდნენ კითხვარს. რიგ ქვეყნებში დამატებითი 40 წუთი

დაეთმო წიგნიერებისა და ელექტრონული ტექსტის გაგების უნარის შეფასებას, თუმცა ეს არჩევითი კომპონენტი საქართველოში არ ჩატარებულა. (PISA, 2009).

საქართველო მოსწავლეების მიერ პიზას სამივე სფეროში-წიგნიერებაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში-მიღწეული შედეგები სტატისტიკურად OECD ქვეყნების საშუალო მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად დაბალია. მაგალითად, წიგნიერებაში მოსწავლეთა საშუალო ქულა 374 მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება პიზას საერთაშორისო საშუალო ქულას, რომელიც წიგნიერებაში 493-ია. ამ მონაცემებით საქართველოს შედეგები მსგავსია ყატარის, პერუს და პანამის მოსწავლეების მიღწევებისა. გარდა ამისა, მოსწავლეთა დაახლოებით 38%-ის კითხვის უნარი მინიმალურ ან მასზე დაბალ დონეს შეესაბამება. მნიშვნელოვნად განსხვავდება ეს შედეგი გოგონებსა და ბიჭებში, გოგონების საშუალო ქულა(405) მნიშვნელოვნად აღემატება ბიჭების საშუალო ქულას(344). რაც შეეხება მათემატიკას, აქ მოსწავლეთა საშუალო ქულა 379, მნიშვნელოვნად დაბალია საერთაშორისო საშუალოზე(496). საბუნებისმეტყველო საგნებში კი საშუალო ქულა(373) ჩამორჩება საერთაშორისო საშუალოს(501). წიგნიერებაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში ლიდერონ თვილისი, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო ქართლი. თუმცა რაჭა-ლეჩხუმში საბუნებისმეტყველო საგნებში საშუალო ქულა(401) თბილისი შედეგებზე მაღალია(392) (PISA, 2009).

PISA აჩვენებს, რომ ქვეყნები განსახვედებიან არა მარტო საშუალო შედეგებით, არამედ მოსწავლეთა შორის შედეგებში განსხვავებების მიხედვითაც. სოციო-ეკონომიკური სტატუსის მქონე მოსწავლეებისათვის თანაბარი საგანმანათლებლო შესაძლებლობების უზრუნველყოფით. ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევები აჩვენებს, რომ მოსწავლის შედეგებს დიდწილად განსაზღვრავს ოჯახის მახასიათებლები. PISA-ს კვლევაში მოსწავლის ოჯახის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური სტატუსი იზომება ისეთი მახასიათებლებით, როგორებიცაა, მშობლის განათლება, მშობლის დასაქება, ოკუპაციური სტატუსი, ოჯახის საყოფაცხოვრებო საგნები და მათი რაოდენობა. აგრეთვე სწავლის ოჯახში საგანმანათლებლო რესურსების წვდომას(რამდენი წიგნი აქვს მოსწავლეს სახლში, აქვს თუ არა დამხმარე სახელმძღვანელოები და სხვ). იმ მოსწავლეების საშუალო ქულა, რომელთა ორივე მშობელს აქვს უმაღლესი განათლება, საშუალოდ 420 ქულაა კითხვის შკალაზე, 396-

ია იმ მოსწავლეთათვის ვის მხოლოდ ერთ მშოველს აქვს უმაღლესი განათლება და 356 მათთვის თუ არც ერთ მშობელს არ აქვთ უმაღლესი განათლება. მოსწავლეების შედეგები მნიშვნელოვნად განსხვავდება ოახში საგანმანათლებლო რესურსების რაოდენობის მიხედვით. მოსწავლეები, რომელთა ოჯახში 0-10 წიგნამდე აქვთ, საშუალოდ 316 ქულას აჩვენებენ უნარებში, 11-25 წიგნის შემთხვევაში-343 ქულა, ხოლო 201-500 წიგნის შემთხვევაში-426 ქულას. საქართველოში დიდ ქალაქებში კითხვის საშუალო მაჩვენებელი 402-ია, ქალაქში-385, სოფლად კი-347. მოსავლეები ყველა რეგიონში თბილისზე დაბალ შედეგს აჩვენებენ. საშუალოზე დაბალი შედეგი კი გვაქვს გურიაში, სამეგრელო--ზემო სვანეთში, მცხეთა-მთიანეთში, აჭარასა და კახეთში. ყველაზე მაღალი შედეგებია რაჭა-ლეჩხუმსა და თბილისში (PISA, 2009).

რაც შეეხება PISA 2015 წლის შედეგებს, მეცნიერებაში საშუალო ქულა 493-ია, საქართველოს მაჩვენებელი კი 411, თუმცა თუ წინა კვლევის შედეგებს გავითვალისწინებთ და შევადარებთ, ქვეყნის მონაცემები 23 ქულითაა გაუმჯობესებული. მათემატიკაში საშუალო ქულა 490-ია, საქართველოს კი 404 ქულა აქვს, წინა კვლევასთან შედარებით შედეგი 15 ქულით გაუმჯობესდა. კითხვაში საშუალო ქულა 493-ია, საქართველოს მაჩვენებელი კი 401, აქ ქვეყნის მაჩვენებელი 16 ქულითაა გაუმჯობესებული. ამ შედეგებით საქართველო მოხვდა იმ ქვეყნების ხუთეულში, ვინც წინა წლებთან შედარებით შედეგი სამივე მიმართულებით გააუმჯობესა. 2015 წლის მონაცემებითაც გოგონებს ბიჭებთან შედარებით უკეთესი მაჩვენებელი აქვთ. 2015 წელს კვლევა სულ 72 ქვეყანაში ჩატარდა, დაახლოებით 540 000 მოსწავლე წრმოადგენდა თავის ქვეყანას, აქედან 6000-მდე ქართველი იყო, რომლებიც 263 სკოლიდან შეირჩნენ. (PISA 2015)

## II. კვლევის მიზანი და ამოცანები

**მიზანი:** საგანმანათლებლო, შემეცნებითი ვებ-საიტის ცნობადობისა და რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევა.

### ამოცანები:

- სხვადასხვა სახის ვებ-საიტების რანჟირება ცნობადობისა და გამოყენების სიხშირის მიხედვით.
- მომხმარებლის მხრიდან საინფორმაციო-შემეცნებითი ვებ-საიტების მიმართ დამოკიდებულების კვლევა.
- საინფორმაციო-შემეცნებითი ვებ-საიტის ტექნიკური გამართულობისა და მარკეტინგული სტრატეგიების ფაქტორების როლის კვლევა.

### ჰიპოთეზები:

- მიზნობრივი ჯგუფის დაინტერესება საგანმანათლებლო-შემეცნებითი ვებ-საიტების გამოყენების მიმართ დაბალია.
- საგანმანათლებლო-შემეცნებითი ვებ-საიტების გამოყენების ინტენსივობა ჩამორჩება გასართობი და საკომუნიკაციო ხასიათის ვებ-საიტებს.

### III. კვლევის მეთოდოლოგია

საგანმანათლებლო, შემეცნებითი ვებ-საიტის ცნობადობისა და რეიტინგის განმსაზღვრელი ფაქტორების კვლევისათვის გამოყენებული იქნა თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევა:

**რაოდენობრივი კვლევის მეთოდი**- პირისპირ ინტერვიუ სტრუქტურირებული კითხვარით.

**თვისებრივი კვლევის მეთოდი**-საინფორმაციო-შემეცნებითი ვებ საიტის მომხმარებელთა მიერ სოციალურ ქსელში გასაჯაროებული შეფასებებისა და რეკომენდაციების ანალიზი. სიღრმისეული ინტერვიუები.

**კვლევის მონაწილეები:**

1. მოსწავლეები.
2. საინფორმაციო-შემეცნებითი ვებ-საიტების ადმინისტრატორები, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები, კონკრეტული საიტის ავტორი.

**კვლევის შერჩევა**-თოვლის გუნდის მეთოდი

**კვლევის მონაწილეთა შერჩევისა და რეკრუტირების კრიტერიუმები**

- რაოდენობრივი კვლევისთვის მოსწავლეების გამოკითხვის მიზნით შეირჩა სამი საჯარო სკოლა. შერჩევის კრიტერიუმები: სკოლის მოცულობა (მცირე, საშუალო, დიდი)და სკოლის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: ორი სკოლა საჯაროა, 1 კერძო.

- თვისებრივი კვლევის რესპონდენტებად შეირჩასაინფორმაციო-შემეცნებითი ვებ-საიტების ადმინისტრატორები, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტები, კონკრეტული საიტის ავტორი.

**კვლევის არეალი-თბილისი.**

**კვლევის მონაწილეთა რაოდენობა-** ჩატარდა 50 პირისპირ ინტერვიუ მოსწავლეებთან, აგრეთვე 10 სიღრმისეული ინტერვიუ საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებთან და საგანმანათლებლო, შემეცნებითი საიტის ავტორთან.

**კვლევის შეზღუდვები-**რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში გამოიკითხა მხოლოდ თბილისის სკოლების მოსწავლეები, ვერ მოხერხდა კვლევაში სხვადასხვა რეგიონის მოსწავლეების ჩართვა, შესაბამისად კვლევამ მოიცვა მხოლოდ თბილისი. აქედან გამომდინარე ვერ ვისაუბრებთ თბილისის გარდა სხვა რეგიონების შედეგებზე.

თვისებრივი კვლევის ფარგლებში სიღრმისეული ინტერვიუები საინფორმაციო-შემეცნებითი ვებ-საიტების ადმინისტრატორებთან, საინფორმაციო ტექნოლოგიების სპეციალისტებთან და კონკრეტული საიტის ავტორი. მცირე დროის გამო ვერ მოხერხდა საგანმანათლებლო სფეროს წარმომადგენლების (პედაგოგების, დირექტორების) გამოკითხვა და მათი დამოკიდებულებების დადგენა, რაც ძალიან საინტერესო იქნებოდა.




### III. კვლევის ძირითადი შედეგები

#### 4.1 სხვადასხვა სახის ვებ-საიტების რანჟირება ცნობადობისა და გამოყენების სიხშირის მიხედვით

##### 4.1.1 მოსწავლეთა მიერ ინტერნეტის გამოყენების სიხშირე

შესწავლილი იქნა თუ რა სიხშირით იყენებენ მოსწავლეები ინტერნეტს, აგრეთვე ინტერნეტის გამოყენებისათვის რომელ ტექნიკას იყენებენ უმეტესად.

მოსწავლეებმა კითხვაზე რა სიხშირით იყენებთ ინტერნეტს, უმრავლესობამ ანუ 44.6%-მა დააფიქსირა, რომ მთელი დღის განმავლობაში მოიხმარს ინტერნეტს, დღეში 4-5 საათი მოიხმარს რესპონდენტთა 30.2%, დღეში 2-3 საათი მოსწავლეთა 12.3%, დღეში 1 საათი ან ნაკლები-5.7%, კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად-2.6% და თითქმის არასდროს-1.6%.




გარდა ამისა, საინტერესოა როგორ ნაწილდება ინტერნეტის გამოყენების სიხშირე გენდერის ჭრილში, მთელი დღის მანძილზე ინტერნეტს მდებარეობითი სქესის წარმომადგენლების 54% მოიხმარს, ხოლო მამრობითი სქესის წარმომადგენლების 46%. დღეში 4-5 საათის მანძილზე ინტერნეტს მოიხმარს მდებარეობითი სქესის წარმომადგენლების 47% და მამრობითი სქესის წარმომადგენლების 53%, დღეში 2-3 საათი მოიხმარს მდებარეობითი სქესის 51% და მამრობითი სქესის რესპონდენტების

49%, დღეში 1 საათი ან ნაკლები დროით მოიხმარს ინტერნეტს მდედრობითი სქესის 37 და მამრობითი სქესის 63%, კვირაში ერთხელ ან უფრო იშვიათად ინტერნეტს მოიხმარს მდედრობითი სქესის რესპონდენტების 28% და მამრობითი სქესის 72%, ხოლო თითქმის არასდროს მოიხმარს ინტერნეტს მდედრობითი სქესის 41% და მამრობითი სქესის 59%.

სქესის ნიშნით განხილვისას ჩანს, რომ ინტერნეტს გოგონები უფრო ხშირად მოიხმარენ, ვიდრე ბიჭები, განსაკუთრებით მთელი დღის მანძილზე, მამრობითი სქესის წარმომადგენლები ინტერნეტის გამოყენებას უფრო ნაკლებ დროს უთმობენ.

კითხვაზე, თუ რომელი ტექნიკის მეშვეობით სარგებლობთ ინტერნეტით ყველაზე ხშირად მოსწავლეთა ყველაზე დიდი ნაწილი-46% აფიქსირებს, რომ ინტერნეტს ყველაზე ხშირად მობილური ტელეფონის საშუალებით მოიხმარს, 39% მოიხმარს კომპიუტერის საშუალებით, ხოლო 15% პლანშეტის მეშვეობით.



რაც შეეხება გენდერის კრილში პროცენტულ გადანაწილებას, მობილური ტელეფონით ყველაზე ხშირად ინტერნეტს მოიხმარს გოგონების 57%, ხოლო ბიჭების 43%, კომპიუტერის საშუალებით ინტერნეტს მოიხმარს მდედრობითი სქესის წარმომადგენლების 46% და მამრობითი სქესის რესპონდენტების 54%, ხოლო პლანშეტით ინტერნეტს მოიხმარს გოგონების 52% და ბიჭების 48%. მონაცემებიდან გამომდინარე ჩანს, რომ მობილური ტელეფონით ინტერნეტს უმეტესად გოგონები

მოიხმარენ, ხოლო კომპიუტერის საშუალებით ბიჭები, ხოლო პლანშეტის გამოყენების შემთხვევაში მონაცემები თითქმის თანაბარია.

#### 4.1.2 ინტერნეტის მეშვეობით განხორციელებული აქტივობები

კითხვაზე, რა მიზნით იყენებთ ინტერნეტს რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ მათთვის სასურველი რამდენიმე პასუხი დაეფიქსირებინათ. მათი უმრავლესობა აფიქსირებს, რომ ინტერნეტს უმეტესად იყენებენ ონლაინ კომუნიკაციისათვის სხვადასხვა აპლიკაციების მეშვეობით, ახალი ამბების გასაცნობად, საკუთარი მასალების(ფოტო, ვიდეო, აუდიო) განსათავსებლად, სასწავლო მიზნებისათვის, ხოლო ყველაზე იშვიათად კი ონლაინ შოპინგისა და აპლიკაციების, პროგრამების შესაქმნელად. პროცენტული გადანაწილება კი შემდეგნაირად გამოიყურება: კომუნიკაცია ონლაინ აპლიკაციების საშუალებით-88.4%, კულტურულ-საგანმანათლებლო მასალის მოძიება(მუსიკა,ვიდეო, ფილმი)-89.6%, ახალი ამბების გაცნობა-91,2%, მეგობრების მოძიება სოციალურ ქსელებში-74.5%, ინტერნეტის მეშვეობით სხვადასხვა მასალის გადმოტვირთვა-84.9%, სხვადასხვა საკითხებზე აზრის დაფიქსირება და დისკუსიებში მონაწილეობა-66.7%, სასწავლო ინფორმაციის მოძიება-82.3%, პროგრამებისა და აპლიკაციების შექმნა-23.5%, ონლაინ თამაშები-78.4%, ონლაინ შოპინგი-32.1%, საკუთარი მასალების(ფოტო, ვიდეო, აუდიო) განთავსება-94.2%.


კითხვაზე იყენებთ თუ არა ინტერნეტს სასწავლო მიზნით, გამოკითხულ მოსწავლეთა დიდმა უმრავლესობამ 93%-მა დააფიქსირა, რომ იყენებს, ხოლო მხოლოდ 7%-მა, რომ არ იყენებს. აღსანიშნავია ისიც, რომ ინტერნეტს სასწავლო მიზნით იყენებს მდებდრობითი სქესის წარმომადგენლების 56.7% და მამრობითი სქესის რესპონდენტების 43.3%. ხოლო იმ რესპონდენტებს შორის ვინც ინტერნეტს საგანმანათლებლო მიზნებისთვის არ იყენებს 34.2% მდებდრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 65.8% მამრობითი სქესის.

უფრო დაკონკრეტებისას, თუ რა იგულისხმება ინტერნეტის სასწავლო მიზნით გამოყენებაში და თუ რა ქმედებებს ახორციელებენ მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის სასურველი რამოდენიმე პასუხის დაფიქსირება, შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება: სასწავლო მასალასთან დაკავშირებული წყაროების მოძიება-75.6%, ვიდეო ლექციების ყურება-17.2%, სასწავლო მასალის მიღება/გაგზავნა ინტერნეტის მეშვეობით-62.1%.

აღნიშნული მონაცემებიდან ჩანს, რომ მოსწავლეთა უმრავლესობა ყველაზე ხშირად ინტერნეტს იყენებს სხვადასხვა წყაროების მოსაძიებლად.

რაც შეეხება კითხვას, რა სიხშირით იყენებენ მოსწავლეები სოციალურ ქსელს, შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: მთელი დღის განმავლობაში-47.5%, დღეში 4-5 საათი-24.3%, დღეში 2-3 საათი-22.4%, დღეში ერთი საათი ან ნაკლები-3.4%, კვირაში რამდენჯერმე-2.1%, თითქმის არასდროს-0.3%.

აღნიშნული მონაცემები უფრო თვალსაჩინოდ შემდეგნაირად გამოიყურება:



კითხვაზე, რომელ სოციალურ ქსელში ხართ დარეგისტრირებული, რესპონდენტებს საშუალება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ რამდენიმე პასუხი. როგორც მოსალოდნელი იყო მოსწავლეთა დიდი ნაწილი დარეგისტრირებულია Facebookზე, კერძოდ კი

96.1%, Instagram-ით სარგებლობს მოსწავლეთა 91%, Twitter-ზე დარეგისტრირებულია რესპონდენტთა 32%, Odnoklasniki – 9.6%, Youtube-11.4%, ხოლო სოციალურ ქსელს არ მოიხმარს გამოკითხულთა მხოლოდ 2%.

კითხვაზე, რატომ არ იყენებთ სოციალურ ქსელს/ქსელებს, რესპონდენტთა უმრავლესობა 52%, აფიქსირებს, რომ დროის კარგად მიაჩნია, 46% აფიქსირებს, რომ მის გარშემო არავინ არაა ჩართული სოციალურ ქსელში, არ მიუწვდება ხელი ინტერნეტზე-1% და არ იცის გამოყენება აგრეთვე 1%-მა.

კითხვაზე კითხულობთ თუ არა სოციალურ ბლოგებს, გამოკითხულ მოსწავლეთა 62% აღნიშნავს, რომ კითხულობს, ხოლო 38% არ კითხულობს სოციალურ ბლოგებს.

რაც შეეხება იმას, თუ კონკრეტულად რომელი თემატიკის ბლოგებს ეცნობიან რესპონდენტები, შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება: რესპონდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი უმეტესად ეცნობა გასართობი ხასიათის ბლოგებს, კერძოდ კი-63.2%, სასწავლო ხასიათის ბლოგებს ეცნობა მოსწავლეთა 52.6%, პოლიტიკური ხასიათის ბლოგებს-17.8%, რელიგიურ თემატიკაზე ეცნობა-9.4%, ხოლო სპორტული თემატიკის ბლოგებს ეცნობა მოსწავლეთა 38.6%.

მონაცემებიდან ირკვევა, რომ მოსწავლეები უმეტესად გასართობი და სასწავლო შინაარსის მქონე ბლოგებს კითხულობენ, ხოლო ყველაზე ნაკლებად პოლიტიკური და რელიგიური შინაარსის მქონე ბლოგებით ინტერესდებიან.

#### 4.1.3 ინტერნეტ პრაქტიკა

კითხვაზე, თუ როგორ შეისწავლეთ ინტერნეტის გამოყენება გამოკითხული მოსწავლეების დიდი უმრავლესობა, 86% აღნიშნავს, რომ დამოუკიდებლად შეისწავლა ინტერნეტის მოხმარება, 6% აღნიშნავს, რომ ოჯახის წევრებმა ან მეგობრებმა შეასწავლეს, ხოლო 8% აფიქსირებს, რომ ინტერნეტის გამოყენება სკოლაში შეისწავლა.

თუ მონაცემებს სქესის ნიშნით გავანალიზებთ შემდეგ შედეგებს მივიღებთ: დამოუკიდებლად ინტერნეტის მოხმარება შეისწავლა გოგონათა 51%-მა და ბიჭების

49%-მა, ოჯახის წევრებმა ან მეგობრებმა შეასწავლეს ინტერნეტის მოხმარება გოგონების 34%-ს და ბიჭების 66%-ს, ხოლო სკოლაში შეისწავლა ინტერნეტის მოხმარება გოგონების 42%-მა და ბიჭების 52%-მა.

რაც შეეხება კითხვას, თუ რამდენი ხანია ფლობს ინტერნეტისა და კომპიუტერის გამოყენებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებს, რესპონდენტთა უმრავლესობამ 67.2%-მა დააფიქსირა, რომ 5-6 წელია, 3-4 წელია ფლობს 25.4%, 1-2 წელია-4.4%, 7 წელი ან მეტი- 1.7% და 12 თვეა-1.3%.

რაც შეეხება კითხვას, კონკრეტულად რა აქტივობების განხორციელება შეგიძლიათ, რესპონდენტებს შეეძლოთ რამდენიმე პასუხების გაფიქსირება, შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: პაროლის შეცვლა-96.7%, სოციალურ ქსელში მახასიათებლების შეცვლა-89.3%, სოციალურ ქსელში ადამიანების მოძიება-97.5%, პირადი ინფორმაციის დაცვა-44.4%, ელ.სერვისებით სარგებლობა-82.1%, ინტერნეტიდან ფოტოს, ვიდეოს, ფილმის, მუსკის გადმოტვირთვა-86.2%, სოციალურ ქსელში ფოტოს, ვიდეოს ატვირთვა-93.8%.


რაც შეეხება აღნიშნული მონაცემების სქესის ნიშნით გაანალიზებას, შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება: პაროლის შეცვლა შეუძლია გოგონების 52%-ს და ბიჭების 48%-ს, სოციალურ ქსელში მახასიათებლების შეცვლა შეუძლია გოგონების 51%-ს და ბიჭების 49%-ს, სოციალურ ქსელში ადამიანების მოძიება შეუძლია მდედრობითი სქესის რესპონდენტთა 53%-ს და მამრობითი სქესის 47%-ს, პირადი ინფორმაციის დაცვა შეუძლია გოგონათა 42%-ს და ბიჭების 58%-ს, ელ.სერვისებით სარგებლობა შეუძლია მდედრობითი სქესის წარმომადგენლების 56%-ს და მამრობითი სქესის 44%-ს, ინტერნეტიდან ფოტოს, ვიდეოს, ფილმის, მუსკის გადმოტვირთვა შეუძლია გოგონათა 48%-ს და ბიჭების 52%-ს, ხოლო სოციალურ ქსელში ფოტოს, ვიდეოს ატვირთვა შეუძლია მდედრობითი სქესის რესპონდენტთა 54%-ს და მამრობითი სქესის 46%-ს.

როგორც ვხედავთ, ინტერნეტში განხორციელებული ოპერაციების ცოდნის მიხედვით სქესის ნიშნით დიდი განსხვავება არ ფიქსირდება.

კითხვაზე, როგორ შეაფასებდით თქვენს ცოდნას კომპიუტერისა და ინტერნეტის ფლობის თვალსაზრისით გვაქვს შემდეგი შედეგები: ცოდნას დადაბითად აფასებს რესპონდენტთა რესპონდენტთა უმრავლესობა ანუ 45%, აქედან გოგონების 48% და ბიჭების 52%, საშუალოდ აფასებს მოსწავლეთა 40%, აქედან მდედრობითი სქესის წარმომადგენელია 55% და მამრობითი სქესის 45%, ძალიან დადებითად 10%, აქედან 56% მამრობითი სქესის წარმომადგენელია ხოლო 44% მდედრობითი, უარყოფითად 3%, აქედან 51% გოგონაა, ხოლო 49% ბიჭი და მკვეთრად უარყოფითად მხოლოდ 2%, აქედან 40% გოგონაა, ხოლო 60% ბიჭი.

აღნიშნული მონაცემების მიხედვით მამრობითი სქესის რესპონდენტები უფრო მეტად არიან საკუთარ თავში დარწმუნებულები ინტერნეტის ფლობასთან დაკავშირებით, ვიდრე მდედრობითი სქესის რესპონდენტები.

ხოლო კითხვაზე, თუ როგორ აფასებენ რესპონდენტები სკოლაში მიღებული ცოდნის ხარისხს კომპიუტერისა და ინტერნეტის გამოყენების მიხედვით, შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება: ძალიან მაღალი-3%, მაღალი-5%, საშუალო-20%, დაბალი-70% და ძალიან დაბალი-2%.



მოცემულ კითხვაზე რესპონდენტთა შორის სქესის ნიშნით განსხვავება არ არის დიდი და თვალსაჩინო, როგორც შედეგებიდან ჩანს მოსწავლეთა უმრავლესობა

კომპიუტერისა და ინტერნეტის გარშემო სკოლაში მიღებულ ცოდნას უარყოფითად აფასებს.

კითხვაზე, თუ რომელ კომპიუტერულ პროგრამებს ფლობთ, რესპონდენტებს რამდენიმე პასუხის გაფიქსირება შეეძლოთ, მოსწავლეებმა შემდეგი შედეგები აჩვენეს: MS Word-83.5%, MS excel-52.1%, MS Power point-56.4%, MS Outlook-34%, Adobe Photoshop-73.2, Opera-86.2%, Google-88.4%.

კითხვაზე, თუ რომელი აპლიკაციები გაქვთ ჩაწერილი და იყენებთ შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: ფოტო-ვიდეო-55.6%-ს, საგანმანათლებლო ხასიათის-67.2%-ს, ინტერნეტის ბრაუზერები-79.1%-ს, სანავიგაციო-82,7%-ს, მუსიკალური-68.2%-ს, სოციალური ქსელები-96.8%-ს.

#### **4.1.4 ინტერნეტის დადებითი და უარყოფითი მხარეები**

კითხვაზე, თქვენი აზრით რა არის ინტერნეტის დადებითი მხარე, უმეტესად დასახელდა შემდეგი პასუხები: ცოდნის მიღების საშუალება-23.6%, გართობის საშუალება-19.5%, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა-78.3%, ინფორმაციის სისწრაფე-72.1%, მარტივი კომუნიკაცია-82.4%.

რაც შეეხება ინტერნეტის ნეგატიურ მხარეს, შედეგები შემდეგნაირად გამოიყურება: დროის ფუჭად დაკარგვა-17.3%, მიჯაჭვულობა-22.7%, პირადი ინფორმაციის დაუცველობა-22.1%, ბევრი ნეგატიური ინფორმაციის არსებობა-67.3%, ჯანმრთელობის პრობლემების გამოწვევა-7.6%,

### **4.2 მომხმარებლის მხრიდან საინფორმაციო-შემეცნებითი ვებ-საიტების მიმართ დამოკიდებულების კვლევა**

#### **4.2.1 ვებ საიტის მიმართ ცნობადობა**




კითხვაზე, სმენიათ თუ არა რესპონდენტებს საჯარო ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო ხასიათის ვებ-გვერდის შესახებ, მათმა უმრავლესობამ 84% აღნიშნა, რომ სმენია, ხოლო 16%-მა კი აღნიშნა, რომ არ სმენია ვებ-გვერდის არსებობის შესახებ.

აღსანიშნავია ისიც, რომ იმ რესპონდენტებს შორის ვისაც საიტის შესახებ აქვს ინფორმაცია, 58% გოგონაა, ხოლო 42% ბიჭი.

#### 4.2.2 ვებ საიტის გამოყენების სიხშირე

კითხვაზე, თუ რა სიხშირით იყენებთ ვებ გვერდს სასწავლო მიზნებისთვის რესპონდენტთა უმრავლესობა, 44% აღნიშნავს, რომ ვებ-გვერდს საკმაოდ ხშირად იყენებს სასწავლო მიზნით, 18% იყენებს ხშირად, იშვიათად იყენებს ვებ-გვერდს 25%, ხოლო არასდროს იყენებს 13%.



საინტერესოა მონაცემთა გაანალიზება სქესის ნიშნით, იმ მოსწავლეთაგან, ვინც ვებ-გვერდს სასწავლო მიზნით საკმაოდ ხშირად იყენებს 53% გოგონაა, ხოლო 47% ბიჭი, იშვიათად იყენებს მდედრობითი სქესის წარმომადგენლების 46% და მამრობითი სქესის რესპონდენტების 54%, ხშირად იყენებს მდედრობითი სქესის 58% და

მამრობითი სქესის 42%, ხოლო არასდროს იყენებს ვებ გვერდს გოგონათა 38% და ბიჭების 62%.

მიღებული მონაცემების მიხედვით ვებ-გვერდს საგანმანათლებლო მიზნებისათვის უმეტესად გოგონები იყენებენ, ვიდრე ბიჭები. აღსანიშნავია ისიც რომ მოცემული მონაცემებიდან გამომდინარე მოსწავლეები საგანმანათლებლო საიტს არც თუ ისე ხშირად სტუმრობენ.

კითხვაზე, თუ როგორ გაიგეთ ვებ-გვერდის არსებობის შესახებ პასუხები შემდეგნაირად გადანაწილდა: რესპონდენტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ თავად მოძებნა, მათი რაოდენობა 44%-ის, გარშემომყოფების რჩევით-16% და სოციალური ქსელებიდან-40%.

#### 4.2.2 საინფორმაციო ვებ-საიტის დადებითი მხარეები

კითხვაზე, თუ რა არის რესპონდენტთა აზრით მსგავსი საგანმანათლებლო ვებ-გვერდების დადებითი მხარე, მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: მარტივი ხელმისაწვდომობა-78.3%, ინფორმაციის ერთ სივრცეში არსებობა-67.4%, სახლიდან გაუსვლელად ინფორმაციის მოძიება-81.2%, დროის ნაკლები დანახარჯი ლიტერატურისა და ინფორმაციის მოძიებაზე-67.7%, ინფორმაციის სანდოობა-27.2%,

## თვისებრივი კვლევის შედეგები

### 4.3საინფორმაციო-შემეცნებითი ვებ-საიტის ტექნიკური გამართულობისა და მარკეტინგული სტრატეგიების ფაქტორების როლის კვლევა

ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსების ჩამორჩენილობა განსაკუთრებულად თვალშისაცემია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში (მშობლიური ენა და ლიტერატურა, ისტორია), ვინაიდან ამ სფეროში დანაკლისს ვერც უცხოური რესურსები ავსებს.

ნებისმიერი ხასიათის ვებ-გვერდის განხილვისას მნიშვნელოვანია მისი შიდა ოპტიმიზაციის საკითხი. ეს არის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს იმას, რომ საიტი იყოს შინაარსობრივად მისაღები, როგორც საძიებო სისტემის, ისე მომხმარებლის ინტერესებისადმი.

მომხმარებლის დაინტერესებისათვის საჭიროა, საიტი იყოს სწრაფი, აქმადი, საინტერესო და ინფორმაციული, გარდა ამისა უნდა აკმაყოფილებდეს გუგლის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს.

საიტის შიდა ოპტიმიზაციის ელემენტებია:

- საიტის სიჩქარე
- ეფექტური კონტენტი
- ფოტოების ოპტიმიზაცია
- ჰედერები
- ლინკები
- საიტის აქმა
- ადაპტირება მობილური მოწყობილობებისადმი
- სოციალურ მედიასთან ინტეგრაცია <sup>6</sup>

---

<sup>6</sup> <https://blh.com.ge/forums/reply/%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9D-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90/>

აგრეთვე ვხვდებით სხვადასხვა ტიპის ვებ-საიტებს, კერძოდ:

- სტანდარტული ვებ საიტი- ეს არის საშუალო ზომის, ეფექტური ვებ საიტი, რომლის მთავარი დანიშნულებაა ძირითადი ინფორმაციის განთავსება ინტერნეტ სივრცეში. მას გააჩნია მარტივი სამართავი პანელი.
- კორპორატიული ვებ საიტი-იგი შედარებით რთული ფუნქციონირებით და სისტემით გამოირჩევა. მათ ახასიათებთ ისეთი დამატებითი ფუნქციები, როგორცაა ვებ საიტის მობილური ვერსია, ონლაინ დაჯავსნა, სოციალური ქსელები, ანალიტიკური საშუალებები და სხვ.
- ონლაინ მაღაზია-დღეს ონლაინ შოპინგი კარგადაა აპრობირებული. ასეთ საიტებს ახასიათებთ ისეთი დამატებითი ფუნქციები, როგორცაა პროდუქციის მართვის სისტემა, პროდუქციის ძიების მექანიზმი, პროდუქციის კალათა, საკრედიტო ბარათის ინტეგრაციები და სხვ.
- ექსკლუზიური ვებ საიტი-ასეთი საიტები მზადდება ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით<sup>7</sup>

ვებ საიტი, რომლის ირგვლივაც ვსაუბრობთ უმეტესად სტანდარტული ვებ საიტების ტიპს განეკუთვნება თავისი ფუნქციების, მასალის, სირთულისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

ამდენად, XXI საუკუნის ქართული სკოლის მოსწავლის ერთადერთ საგანმანათლებლო რესურსად ტრადიციული სასკოლო ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოა, რაც, როგორც ზემოთ ვთქვით, ვეღარ პასუხობს თანამედროვე სკოლის მოსწავლის ინფორმაციის მოძიების, დამუშავებისა და შესწავლის პრაქტიკებს. ჰუმანიტარული მეცნიერებების შესწავლისთვის საჭირო დამხმარე ელექტრონული რესურსების შექმნის გარეშე ეს მეცნიერებები ტექნოლოგიების ეპოქის სკოლის მოსწავლისთვის უფრო შორეული, გაუგებარი და ძველმოდური ხდება.

---

<sup>7</sup> <https://blh.com.ge/%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/>

**პროექტის მიზანია:** საქართველოში ზოგადსაგანმანათლებლო სისტემის დონის ამადლების საქმეში ეროვნული ბიბლიოთეკის ჩართულობის გაძლიერება.

**ამოცანები:**

- საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებთან (მოსწავლეები, მასწავლებლები, პედაგოგები) და საგანმანათლებლო რესურსცენტრებთან ურთიერთობის გაძლიერება;
- საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის, განსაკუთრებით რეგიონებში მეტი ხელმისაწვდომობა ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ რესურსზე, რომელიც უნიკალურ მასალას მოიცავს ზოგადი განათლების კუთხით.
- სკოლებისათვის სტიმულის შექმნა ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ რესურსებზე მოთხოვნის გასაძლიერებლად.
- სკოლებისათვის საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის არსებული და პოტენციური რესურსების ბაზაზე საქართველოს სკოლების მოსწავლეებისთვის დამხმარე საინფორმაციო პორტალის შექმნა. (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

პროექტით გათვალისწინებული მიზნის მისაღწევად და პროექტის ამოცანების შესასრულებლად საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა თანამშრომლობს მასწავლებლებთან, მოსწავლეებთან, რესურსცენტრებთან, განათლებისა და მეცნიერების ასევე დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო აპარატთან, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებთან. საქართველოს რამდენიმე ქალაქში ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლები ატარებენ შეხვედრებს მასწავლებლებთან, უფროსკლასელებთან, საგანმანათლებლო რესურს ცენტრების თანამშრომლებთან, განათლებისა და მეცნიერების, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო აპარატის, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროების შესაბამისი დეპარტამენტების, სამმართველოების თანამშრომლებთან. შეხვედრების მომზადებაში ჩართულია პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის განყოფილებები.

ამ განყოფილებების თანამშრომლები ამზადებენ მოხსენებებს ეროვნულ ბიბლიოთეკაში უკვე არსებული ციფრული რესურსების შექმნის, გამოყენების, შესაძლებლობების, პრობლემებისა და პერსპექტივების შესახებ (ციფრული ბიბლიოთეკა, ლექსიკონები). მოხსენების შემდეგ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის სპეციალურად შერჩეული თანამშრომლები შეხვედრის მონაწილეებს აცნობენ ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ რესურსებსა და მათი ეფექტიანად გამოყენების გზებს. შეხვედრების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება ადგილობრივი მედიის მეშვეობით. გამოვლენილი საჭიროებები ერგება ეროვნულ ბიბლიოთეკაში არსებულ და პოტენციურ რესურსებს (იგულისხმება, დიზაინი და სხვა ტექნიკური დეტალები მოსწავლეებისთვის მიმზიდველობა). შეხვედრებზე გამოვლენილი სკოლების საჭიროებების (მასწავლებლებისთვის და მოსწავლეებისთვის) საფუძველზე ეტაპობრივად იქმნება საქართველოს სკოლების მოსწავლეებისთვის დამხმარე საინფორმაციო პორტალის მაკეტი.

პროექტის ავტორი მუდმივად ცდილობს საიტი მეტად პოპულარული გახდეს, ამისათვის უპირველეს ყოვლისა პირადად სტუმრობს სკოლებს არა მარტო თბილისის მასშტაბით, აგრეთვე რეგიონებშიც. ხვდება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, მათ აცნობთ საიტის შინაარსს და უხსნის როგორ გამოიყენონ, აგრეთვე პასუხობს წამოჭრილ კითხვებს და შეძლებისდაგვარად ითვალისწინებს შენიშვნებს. მაგალითად:

*„პრეზენტაციის ორგანიზება იყო სწორი და პროდუქტული, რადგან დამსწრე საზოგადოება აქტიურად მონაწილეობდა მასში. თავად პროექტი გახლავთ ინოვაციური, პროგრესირებადი და დღევანდელობაზე კარგად მორგებული, რადგანაც სკოლის მოსწავლეები მისი წყალობით ეცნობიან ენციკლოპედიურ მასალას, რომლის წიგნებიდან ამოკითხვა საკმაოდ ძვირი სიამოვნებაა და ყველას არ ხელეწიფება“.*

*„რა თქმა უნდა, გარკვეული ხარვეზები არსებობს, ამას არც არავინ უარობს, თუმცა აბსოლუტიზმი, ეს ცნება ხომ არ არსებობს, პროექტი დაიხვეწება, გამდიდრდება და საბოლოო ჯამში დასაყრდენი, სასურველი და*

საზოგადოებაზე მორგებული შედეგი გვექნება“.(ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო, 2018).

შექმნის დღიდან ხდება საიტის დახვეწა და ახალი მასალების თუ ინფორმაციების დამატება. ეტაპობრივად ემატება ვიდეო გაკვეთილებიც.

ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, მაგალითად „ვეფხისტყაოსნის“ იუბილესთან დაკავშირებით სამუშაო დღეებში "ვეფხისტყაოსნის" თითო სტროფი თავსდებოდა გვერდებზე, სიტყვებისა და ტაეპების განმარტებით, აგრეთვე ხელნაწერით. (პროექტი "გადავწეროთ "ვეფხისტყაოსანი" საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ლიტერატურულმა ფორუმმა "ებლიტვომ" განახორციელა 2012–2014 წლებში). გარდა ამისა საკმაოდ აქტიურია facebook ჯგუფი, სადაც ინტენსიურად ხდება საიტსა და პროექტებთან დაკავშირებული სიახლეების გაცნობა და განხილვა. ჯგუფში მოსწავლეთა გარკვეული ნაწილი აფიქსირებს საკუთარ პოზიციას, აცნობენ ერთმანეთს თავიანთ ნაშრომებს. „ვეფხისტყაოსნის“ იუბილესთან დაკავშირებით მოსწავლეები ტვირთავდნენ თავიანთ გადაწერილ „ვეფხისტყაოსნის“ თითო სტროფს (მე ვმონაწილეობ " ვეფხისტყაოსნის " გადაწერაში).

აგრეთვე პროექტმა "ბიბლიოთეკა სკოლას" დაინტერესებული საზოგადოებისთვის ეტაპობრივად განახორციელა "სამოქალაქო ლიტერატურისა" და მათი ავტორების გაცნობა.

პროექტის ავტორები "სამოქალაქო განათლების" სფეროში მოღვაწე ავტორებსა და შრომებს წარადგენდნენ. საკმაოდ დიდი რაოდენობითაა შრომები ბავშვის უფლებების შესახებ.

საიტზე "სამოქალაქო განათლების" ბლოგში ავტორების ბიოგრაფიები საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის "ბიოგრაფიული ლექსიკონიდანაა" აღებული.

პროექტის ავტორი გიორგი კილაძე ვებ-გვერდის შექმნის ძირითად მიზანსა და ამოცანებზე საუბრობს:

„თავდაპირველად შეიქმნა პრობლემა და სხვადასხვა მიზეზთა გამო საიტის დამზადება დაიწყო 2016 წლის 6 ოქტომბერს. იმავე წლის 20 დეკემბერს საიტის პირველი გვერდი გაჩნდა.

**მიზანი:** სასკოლო ლიტერატურის შესწავლისთვის საჭირო დამხმარე ღია ელექტრონული რესურსის შექმნა.

**ამოცანები:**

- სერვერების შეძენა და პროგრამული გამართვა
- Greenstone (ციფრული კოლექციების შენახვის და გავრცელების ღია ინსტრუმენტი) ადაპტაცია ქართულენოვანი მომხმარებლისთვის, რაც გულისხმობს მის სრულ გაქართულებას.
- უკვე არსებული სასკოლო კოლექციების ადაპტაცია.
- საცდელი კოლექციების შექმნა და პილოტირება.
- პილოტირების შედეგების ანალიზი და ამაზე დაყრდნობით ელექტრონული რესურსის დახვეწა.
- ასაკობრივი და თემატური კოლექციების შექმნა
- ვიდეო ტუტორიალების მომზადება
- ანგარიშის მომზადება (გ.კ)

საიტი და მისი დიზაინი შექმნის დღიდანვე განიცდის ცვლილებას და იხვეწება. ცვლილებება ეხება როგორც ტექნიკურ მხარეს, ისე შინაარს (ემატება ახალი ნაწარმოებები, ავტორები მასალები), გარდა ამისა მუდმივად ხდებოდა იმ მოთხოვნების თუ თხოვნების გათვალისწინება, რასაც ავტორს უყენებდნენ მოსწავლეები, მასწავლებლები თუ ექსპერტები.

„რაც შეეხება დიზაინის შეცვლას , იგი იცვლებოდა ნაბიჯ-ნაბიჯ, შეიძლება ითქვას ყოველ კვირას. მაგ.დაემატა საძიებო სისტემა google.ge ბაზაზე. დაემატა კონკრეტულ გვერდზე ძიება და ა.შ. და მაინც 3 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა წინასწარდასახული ამოცანების თუნდაც ნაწილობრივ შესრულება. საიტს ემატებოდა გვერდები, ავტორები, ნაწარმოებები, საძიებო ველები და მაინც ტექნიკურად ის 2002



წლის „საიტების დონეს“ ვერ აცდა. მიუხედავად იმისა, ჩვენ ასევე ნაბიჯ-ნაბიჯ, ვსწავლობდით მომხმარებლის, ძირითადად, მოსწავლეების, ნაკლებად მასწავლებლების, კიდევ უფრო ნაკლებად განათლების სფეროს ექსპერტების, ჩინიანების სურვილების ასრულებას. და ეს სურვილები ძირითადად არა დიზაინს, არამედ საძიებო სისტემების გაუმჯობესებასა და ნაწარმოებთა დამატებას ეხებოდა. არაფერს ვამბობ სატელეფონი აპლიკაციებზე. 20 შეხვედრიდან 20 თხოვნა, ვფიქრობ სურვილების მწვერვალია“ (გ.კ).

„გვაქვს კიდევ ერთი საინტერესო გვერდი, რომელსაც ჰქვია „ავტორი“ და მასში განთავსებულია ყველა ავტორის გვარი და სახელი, რომელიც ანბანურადაა განლაგებული“ (გ.კ).

დროთა განმავლობაში საიტს ახალი ფუნქციები ემატებოდა და იხვეწებოდა, საიტზე მოცემულია არა მხოლოდ სასკოლო, არამედ დამხმარე ლიტერატურაც, შესაძლებელია ავტორების ბიოგრაფიების გაცნობა.

"სასკოლო ლიტერატურის" მთავარი დანიშნულება არ არის ტექსტების კითხვა, მისი უმთავრესი ფუნქცია საჭირო ინფორმაციის სწრაფად პოვნაა! რამდენადაც ვიცი, სასკოლო განათლებისთვის სკოლებში ოთხი სახის ლიტერატურას იყენებენ: ძირითადი, სარეკომენდაციო, დამატებითი და დამხმარე. გვერდის ეს ნაწილი ყველა იმ დამხმარე ტექსტს (სტატია, ესეი) აერთიანებს, რომელიც პირდაპირ ან ირიბადაა დაკავშირებული გვერდზე განთავსებულ ტექსტთან. აქვე გეტყვი, დამხმარე ტექსტის ავტორის ბიოგრაფიასაც ექნება ბმული, თუ ეროვნული ბიბლიოთეკის ბიოგრაფიულ ლექსიკონში იძებნება“ (გ.კ).

მნიშვნელოვანი და საინტერესოა რამდენად პოპულარულია საიტი, მოხდა თუ არა განხორციელებული ღონისძიებების განხორციელების შემდგომ დაინტერესების გაზრდა, ხდება თუ არა ვიზიტორების დათვლა და თუ ხდება რა შედეგები.

„სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვება, დამუშავება და ანალიზი ხორციელდებოდა პერიოდულად. დაკვირვების პერიოდი მოიცავდა კონკრეტული

მიზნის დასახვიდან მიზნის შესრულების/ვერ შესრულების/ნაწილობრივ შესრულების აღიარების პერიოდს. საიტზე რამდენჯერმე დაყენდა სპეციალური მთვლეელი. ერთი: 19 ოქტომბერი 2016-30 ნოემბერი 2016.

მიზანი: მომხმარებლის ინტერესის გაგება ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი პროექტის მიმართ.

შედეგი: სტაბილურად აღმავალი ინტერესი. თუმცა გარკვეულ პერიოდებში არის „ამოვარდნები“, ასეთები შეესაბამება ე.წ „კატის“ გამოცდებსა და უმაღლესში მისაღებ გამოცდების პერიოდებს. და მეორე: 13 თებერვალი 2017-1 მარტი 2017.

მიზანი: მომხმარებლის ინტერესის გაგება ეროვნული „სასკოლო ლიტერატურის“ ფბ გვერდის გახსნის შემდეგ.

შედეგი: ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა, ფბ გვერდის გახსნამ მომხმარებელში მეტი ინტერესი არ გააჩინა“ (გ.კ)

როგორც ჩანს მიზნების შესაბამისაც ვიზიტორთა დათვლა სხვადასხვა ეტაპად განხორციელდა. ბოლოს ვიზიტორები 2017 წელს დაითვალეს. როგორც აღმოჩნდა შედეგები 2016 და 2017 წელს მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისაგან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაცილებით მეტი ვიზიტორი სტუმრობს საიტს ე.წ „კატის“ გამოცდებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების პერიოდში. რაც მეტყველებს იმაზე, რომ მოსწავლეების ინფორმირებულობა არსებობს, თუმცა ისინი უმეტესად გამოცდების პერიოდში სტუმრობენ საიტს. ამ შემთხვევაში პრობლემა არა საიტის გამართულობასა და ცნობადობაში, არამედ მოსწავლეთა მოტივაციასა და განათლების გაღრმავების სურვილის ნაკლებობაში უნდა ვეძებოთ.

რაც შეეხება სფეროს სპეციალისტებს, კვლევის პროცესში მოხდა გამოკითხვა ვებ-საიტების ადმინისტრატორების და ტექნოლოგიური სფეროს სპეციალისტების რადგან მათი შეფასება საიტის დიზაინს, სტრუქტურასა და შინაარსის მიმართ მნიშვნელოვანი და საინტერესოა.

უმეტესად მათი აზრები მსგავსია საიტის ირგვლივ. ისინი თვლიან, რომ საიტის დიზაინი და სტრუქტურა მოძველებულია და განახლებას საჭიროებს, აგრეთვე მნიშვნელოვნად მიიჩნევენ მათზე სპეციალისტებმა იმუშაონ.

*„თუ საიტი წლების მანძილზე იხვეწება გაცილებით კარგი შედეგი უნდა იყოს. ნამდვილად არ გავს ამ სფეროს წარმომადგენლის ნამუშევარს, ბევრი რამეა გასასწორებელი და დასახვეწი“ ( ნ.ჩ).*

*„შესაცვლელია ფერთა შეხამება, სიტყვების ძეგნის სისტემა უფრო გასამარტივებელია. მოკლედ საიტი თანამედროვე მოთხოვნებს უნდა მოერგოს“ (ე.რ).*

*„ძალიან არეულია ყველაფერი ერთმანეთში. უფრო მეტი კონკრეტიკაა საჭირო. მეტი დინამიკაა საჭირო კონტენტთან და მენიუსთან დაკავშირებით. რაც შეეხება ტექნიკურ მხარეს, ფერები, დიზაინი, საიტმეფი, წყობა, ფონტებიკონტენტის და ჰედერების გამოყოფა, უფრო დალაგებული მენიუ. ბევრია შესაცვლელი და დასახვეწი“ (გ.ს).*

როგორც ირკვევა, საიტის აგებულება, ფორმირება და დიზაინი არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს. მნიშვნელოვანია გამარტივდეს ძიების მექანიზმი, შეიცვალოს და განახლდეს ფერთა შეხამება, მენიუ კი ბევრად მარტივი და დახვეწილი გახდეს.

ექსპერტები საუბრობენ იმაზეც, რომ თანამედროვე მოთხოვნილებები, განსაკუთრებით კი თანამედროვე ახალგაზრდების მოთხოვნილებები დღეს გაცილებით დიდია. მათ თავიანთ ტექნიკას მორგებული საიტი სჭირდებათ, მაგალიტად ისეთი, რომელიც ადაპტირებული და გამოყენებადი იქნება მობილურზე, პლანშეტზე და სხვ.

*„არ არის ადაპტირებული სხვადასხვა ეკრანის ზომებზე.მაგ: მობილური, პატარა ლექტოპი, პლანშეტური კომპიუტერი“ (ვ.ნ).*

*„საიტი მიზნობრივ აუდიტორიას უნდა მოერგოს. უფრო თანამედროვე უნდა გახდეს. მასზე ამ სფეროს სპეციალისტებმა უნდა იმუშაონ. მოკლედ ყველაფერი შესაცვლელია. საიტი არაა ტელეფონზე მორგებული. ესე იგი ნაკლებადაა მორგებული მიზნობრივ აუდიტორიას“ (ც.მ).*

„მოძველებულია, არ არის ადაპტირებული მობილურისათვის. რაც მთავარია თუნდაც დექსტოპ კომპიუტერზე წიგნს ვერ წავიკითხავ, ამიტომ მომიწევს ვიყილო წიგნი“ (ა.ნ)

ვინაიდან საიტი უმეტესად მოსწავლეებისთვისაა განკუთვნილი, იგი თანამედროვე ახალგაზრდების მოთხოვნებს უნდა შეესაბამებოდეს. როგორც ვიცით, ახალგაზრდების უმეტესობა მოიხმარს თანამედროვე მობილურებს, პლანშეტებს და მოწყობილობებს, რომელთაც გარკვეულწილად ჩაანაცვლეს წიგნები. ამის გამო მათთვის გაცილებით კომფორტულია ნებისმიერი საიტი მოერგოს მობილურ ტელეფონებს, ეს სპეციალისტების აზრით საიტის მომხმარებელთა რიცხვს გაზრდიდა და უფრო საინტერესოს გახდიდა.

რესპონდენტების ნაწილი მიიჩნევს, რომ კონკრეტული საიტის იდეა, გახდეს სასკოლო ლიტერატურა მოსწავლეთათვის უფრო მარტივად და სწრაფად მოსაძიებელი ძალიან კარგია, აგრეთვე რესპონდენტებმა აღნიშნეს, რომ მსგავსი საგანმანათლებლო, შემეცნებითი ვებ-საიტები, რომლებიც ქართულ სასწავლო მასალებზე იქნება მორგებული პრაქტიკულად არ არსებობს, რაც საიტის პოპულარიზაციას კიდევ უფრო შეუწყობს ხელს.

*„მე ვფიქრობ რომ ამ საიტს მხოლოდ იდეა აქვს კარგი , დანარჩენი ყველაფერი შესაცვლელი და გადასაკეთებელია. მსგავსი საიტები 2002 წელს იქმნებოდა საქართველოში და ამჟამინდელ რეალობას ძალიან ჩამორჩება“ (ლ.ტ)*

არსებული მონაცემებით სფეროს ექსპერტებისათვის საიტი მოძველებულია, თუმცა მათ აქვთ გარკვეული რჩევებიც, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება საიტი გათანამედროვედეს და უპასუხოს თანამედროვე მოთხოვნებს. რესპონდენტები აღნიშნავენ იმასაც რომ ამჟამინდელი მდგომარეობით ისევე როგორც მთელს

მსოფლიოში, საქართველოშიც მაღალი სტანდარტების შესაბამისი და ტექნიკურად საკმაოდ გამართული საიტები იქმნება, რომლებიც მოქნილი და მარტივი გამოსაყენებელია, ამიტომაც საიტის შექმნისა აუცილებლად მიიჩნევენ შესწავლილი და გათვალისწინებული იყოს გარკვეული სტანდარტები.

*„მოკლედ რომ ვთქვათ 21 საუკუნეში საიტები განსხვავებული დიზაინით კეთდება. ადამიანს დიდი სურვილი არ გაუჩნდება მანდ შევიდეს. ჯობს იმაზე დაიწყონ ფიქრი როგორ მოარგონ თანამედროვე მოთხოვნებს“ ( გ.ბ).*

*„ხარვეზები ბევრია, თანამედროვე მოთხოვნებს არ შეესაბამება, უნდა დაიწყროს ახალი, შიგთავსი ანუ ტექსტები უნდა აიტვირთოს თავიდან“ (ზ.მ).*

არსებული მონაცემებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სპეციალისტებისათვის მოცემული საიტის ახლანდელი მდგომარეობა არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებსა და მოთხოვნებს. იგი საჭიროებს ბევრ ცვლილებას, თუმცა თვლიან, რომ არსებული საიტის არსებობის მთავარი იდეა ძალიან კარგი და გამართლებულია, ამის გამო მას გააჩნია სამომავლო პერსპექტივები. იმისათვის, რომ საიტი პოპულარული და მეტად გამოყენებადი გახდეს მნიშვნელოვანია მის დიზაინსა და სტრუქტურაზე იმუშაონ სპეციალისტებმა, დაიწყროს ახალი, თანამედროვე ვერსია, რომელიც მორგებული იქნება თანამედროვე მოწყობილებებზე და მის გამოყენებას უფრო მარტივს გახდის.

## დასკვნა

- რაოდენობრივი კვლევისას დადგინდა, რომ მოსწავლეთა უმეტესობა ინტერნეტს ყოველდღიურად მოიხმარს, მათი უმრავლესობა ინტერნეტს იყენებს გასართობი და საკომუნიკაციო ხასიათის ვებ-საიტებს, ხოლო შემეცნებითი ვებ-საიტების გამოყენების სიხშირე დაბალია. აღნიშნული მონაცემებით პიპოთეზა: საგანმანათლებლო-შემეცნებითი ვებ-საიტების გამოყენების ინტენსივობა ჩამორჩება გასართობი და საკომუნიკაციო ხასიათის ვებ-საიტებს-მტკიცდება.
- მოსწავლეთა უმრავლესობა დარეგისტრირებულია სოციალურ ქსელებში (facebook, instagram) და მათ აქტიურად მოიხმრენ მთელი დღის მანძილზე, რაც შეეხება საგანმანათლებლო ვებ-საიტებს, მათ მიმართ ინტერესი არაა მაღალი. კვლევის შედეგად მიღებული მონაცემებით პიპოთეზა: მიზნობრივი ჯგუფის დაინტერესება საგანმანათლებლო-შემეცნებითი ვებ-საიტების გამოყენების მიმართ დაბალია-აგრეთვე მტკიცდება.
- მოსწავლეთა დიდ ნაწილს სმენია საჯარო ბიბლიოთეკის საგანმანათლებლო საიტის შესახებ, თუმცა მისი გამოყენების სიხშირე არ არის მაღალი.
- რესპონდენტთა უმრავლესობა საკუთარ გამოცდილებასა და ცოდნას კომპიუტერთან და ინტერნეტთან დაკავშირებით აფასებს დადებითად, ისინი თვლიან, რომ კარგად ფლობენ ინტერნეტს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ შემთხვევაში ბიჭების შედარებით დიდი ნაწილი თვლის, რომ კარგად ფლობს ინტერნეტს, ვიდრე გოგონები.
- მოსწავლეთა უმრავლესობა უფრო მეტად გასართობი ხასიათის ბლოგებს კითხულობს, ვიდრე საგანმანათლებლო ხასიათის.
- მოსწავლეთა დიდი ნაწილი აფიქსირებს რომ ინტერნეტის მოხმარება თავად აითვისეს.

- რესპონდენტები უარყოფითად აფასებენ სკოლაში მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებას ინტერნეტის ცოდნასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.
- თვისებრივი კვლევის მონაცემებიდან გამომდინარე, საინფორმაციო, შემეცნებითი ვებ-საიტის მიმართ ინტერესი სტაბილურია და მნიშვნელოვან ცვლილებებს არ განიცდის. დადგინდა ისიც, რომ მას გაცილებით მეტი ადამიანი სტუმრობს ე.წ. „კატის“ გამოცდებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების პერიოდში.
- საინფორმაციო, შემეცნებით ვებ-საიტთან დაკავშირებით გამოკითხული სპეციალისტები ცალსახად აღნიშნავენ, რომ თანამედროვეობას სჭირდება გაცილებით ადაპტირებული, თანამედროვე ტექნიკაზე მორგებული საიტები, რომლებიც უპასუხებენ 21-ე საუკუნის მოთხოვნებსა და გამოწვევებს. ინტერვიუები ცხადყოფს, რომ საიტს ტექნიკურად სჭირდება დახვეწა და თანამედროვე სტანდარტებზე მორგება.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. *სამოქალაქო განათლების ლექსიკონი*. (2004). თბილისი.
2. ეროვნული სასწავლო გეგმა. (2017). თბილისი
3. ინფორმაციული ტენოლოგიების განვითარების ინსტიტუტი. (2017).
4. ბერძენიშვილი, ა. (2011). პოლიტიკური სოციოლოგია. თბილისი.
5. კასტელსი, მ. (2000). ინფორმაციონალიზმი და ქსელური საზოგადოება.
6. Beli.D. (2001). *The Coming of Post-Industrial Society*
7. საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სახელმწიფო საჯარო სკოლების ბიბლიოთეკების დებულება. (2016). თბილისი.
8. კილაძე, გ. (2017). ბიბლიოთეკარი ბიბლიოთეკარს. თბილისი: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.
9. ჩლაიძე, ი. (2015). ინფორმაციული სისტემების თაობა და მისი გავლენა თანამედროვე მედიცინაზე. თბილისი.
10. *ვიკიპედია*. (2015). თბილისი.
11. კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრი, (2012). თბილისი.
12. ტურაშვილი, თ. ელექტრონული კომუნიკაციის განვითარება საქართველოში-ინტერნეტის ხელმისაწვდომობა. (2013). თბილისი. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI), პოსტსაბჭოთა კვლევების ცენტრი (CPSS).
13. გოგოლაძე, თ. რუსეჩვი, ე. დელემენჩუვი, ა. (2011). ელექტრონული დემოკრატიის პოლიტიკის ეფექტურობის ამაღლება და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება. თბილისი: ქალთა საინფორმაციო ცენტრი.
14. უებსტერი, ფ. (1995).
15. კუტალაძე, ი. (2011). წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (PIRLS). თბილისი. გამოცდების ეროვნული ცენტრი.



16. კუტალაძე, ი. (2016). წიგნიერების საერთაშორისო კვლევა. თბილისი. გამოცდების ეროვნული ცენტრი.
17. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA). (2009). თბილისი.
18. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (PISA). (2015). თბილისი.
19. Survey of Schools: ICT in education, (2016)
20. გურაბანიძე, მ. (2014). საინფორმაციო საზოგადოება(კონცეფცია, იდეოლოგიები). საინფორმაციო ტექნოლოგიები, ინფორმატიკა, ინფორმაცია. (თბილისი).  
<https://programminggeorgia.wordpress.com/2014/08/02/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A4%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%9D-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%96%E1%83%9D%E1%83%92%E1%83%90%E1%83%93%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91>
21. ვებ-საიტის შიდა ოპტიმიზაცია. (2018). თბილისი.  
<https://blh.com.ge/forums/reply/%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%9D-%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9D%E1%83%9E%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%96%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%90>
22. ვებ-საიტის დამზადება. (2018). თბილისი.  
<https://blh.com.ge/%E1%83%95%E1%83%94%E1%83%91-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%98%E1%83%A2%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%93%E1%83%90%E1%83%9B%E1%83%96%E1%83%90%E1%83%93%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/>

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Tamta Chichinadze

Ketevan Kvirkelia

Informative, cognitive Web-Site awareness and Rating Determining factors

MA program – Sociology

Master's thesis is submitted to obtain Master's degree in Social Sciences

Supervisor: Associate Professor

Nino Durglishvili

Tbilisi 2017